# ჩვენი გზა

№ 23

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

[illegible]

დღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 23 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 23



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირობით მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეებით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტი 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

მაშინ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით ეხვეწება, როგორც აგენტებს, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

● ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა ●

„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ გამგეობა შეუდგა

## ილია ჭავჭავაძის

**თხზულებათა გამოცემას სახალხოთ.**

ყოველი თხზულება დაიბეჭდება ცალ-ცალკე წიგნაკათ ნახატებით და ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკაში მოთავსდება:

1. რჩეული ლექსები.
2. კაკო ყაჩაღი.
3. რა ვჰკეთეთ, რას ვშვრებოდით?—ბედნიერი ერი.
4. აჩრდილი.
5. დედა და შვილი.
6. განდეგილი.
7. დიმიტრი თავდადებული.
8. კაცია ადამიანი?!
9. გლახის ნაამბობი.
10. ოთარაანთ ქვრივი.
11. მგზავრის წერილები.
12. გლეხთა განთავისუფლების პირველ დღეებში.
13. სარჩობელაზე. | დროების სცენები.
14. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.

შემდეგში დაიბეჭდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. (3—უ—1)

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ექიმი

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავათმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

**გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.** (10—7)

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ივანე იოსების ძე **პაჩუხოვი**.

გადავიდა ვერის დაღმართზე (Верійскій спускъ) სახლი № 11. 10—10

**კბილის ექიმი**

**სამსონ ვაშაყმაძე**

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

## ისყიდება

ახალი მოდის ტანისამოსის **შკაფი** და კაკლის **ბუფეტის შკაფი**.

აქვე მიიღება შესაკვეთათ ყოველნაირი **სასტალიარო საქმეები**.

ადრესი: Лабораторный пер., № 2, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის ზემოთ.

სახელოსნოს პატრონი

(5—ნ.—3) გ. ედილაშვილი.

**აგენტების საყურადღებოთ. ალექსანდრე ლანდი** უკანასკნელათ სთხოვს მათ, ვისაც გასაყიდათ ქონდა წიგნები „ჯაშუშის“ წაღებული, რომ შაბათს, 6 ოქტომბრამდის უეჭველათ გაასწორონ ანგარიში და დანარჩენილი წიგნები საჩქაროთ უკან დააბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, რომ კვირას ყველანი გაზეთში გამოაცხადოს და ამ გზით მაინც გაინთავისუფლოს თავი ავტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. (3—1)

**მსურველთა საყურადღებოთ.**

ვამზადებ მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალი და საშუალო სასწავლებლისათვის. ვამზადებ აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებელთ და მოხელის ხარისხის მისაღებათ და კბილის სამკურნალო კურსებზე შესასვლელათ. ვასწავლი აგრეთვე მოკლე ხანში ახალი მეთოდით წერა-კითხვას და ანგარიშს.

ადრესი: ოლგის ქუჩა, ვერის დაღმართის ჩასახვევთან. წიგნის მაღაზია „ჩვენი ცხოვრება“. (3—ნ.—2)

**ვკისრულობ** ქართულ ხელნაწერების სტილისტიურათ გასწორებას, როგორც ნათარგმნის, ისე ორიგინალურის. ვეძებ კორექტორობას. შრომის ფასი მორიგებით.

**ნარკანი.**

ჩემი ადრესი: რედაქცია „ჩვენი გზა“-ნარკანი. (3—1)


### არჩევნები ჩვენში და ჩვენი ფედერალისტები

ჩვენმა ფედერალისტებმა, მოგეხსენებათ, „ბოიკოტი გამოუცხადეს“ სახელმწ. დუმას და მის არჩევნებს. მაგრამ ვაი ამისთანა ბოიკოტს! ვერ წარმოიდგენთ, რა გულის კანკალით ადევნებენ თვალყურს ეს „ბოიკოტისტები“ სწორეთ იმას, რასაც ისინი ბოიკოტის გამოცხადების გამო თითქო გულგრილათ უნდა უცქეროდენ, რასაც კომედიას და უნაყოფო წყლის ნაყვას უწოდებენ. ამ „კომედიით“, ამ „წყლის ნაყვით“ მათი დაინტერესება იქამდე მიდის, რომ მათ კიდეც ავიწყდებათ, რომ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და არა-ერთგან მალვით თუ აშკარათ ცხოველ მონაწილეობასაც კი იღებენ „კომედიაში“, „წყლის ნაყვაში“. ყველაზე უფრო მკაფიოთ ეს გამოიხატა ფოთის ქალაქის არჩევნებში, რასაც მკითხველი ქვემოთ წაიკითხავს. რამ აუკანკალა გული ჩვენს ფედერალისტებს? რა აიძულებს მათ „წყლის ნაყვაში“ მონაწილეობის მიღებას, თავიანთი განაფურთხის თავისივე ხელით აწმენდას? ამისი მიზეზი ჯერ ერთი ის არის, რომ სახელმწ. დუმა და მისი არჩევნები მართლა კომედია და წყლის ნაყვა როდი გახლავთ, არამედ ეს არის დიდ-მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე, რომელსაც ვერც ერთი პოლიტიკური პარტია დაუსჯელათ გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ თავი და თავი მიზეზი არჩევნების დროს ჩვენი ფედერალისტების ასეთი გულის კანკალისა და ამ არჩევნებით ასე ცხოვლათ დაინტერესებისა ის არის, რომ არჩევნებში „ბურთი და მოედანი სოციალდემოკრატიას დარჩა“ და, რაც კიდევ უფრო საშინელია, არჩევნების შემწეობით სოც.-დემოკრატიას ერთხელ კიდევ საშვალება ეძლევა ქვეყანას დაანახოს, თუ რა დიდი გავლენა აქვს მას ჩვენი ხალხის ფართო მასსაზე, ერთხელ კიდევ საშუალება ეძლევა კიდევ უფრო განამტკიცოს ეს გავლენა. მოდი და ამის დამნახავ ფედერალისტებს გული შურით ნუ აევსებათ, ნუ აუკანკალდებათ! სოც.-დემოკრატიისთანა მოსისხლე მტერი მათ ხომ დღეს აღარავინ ყავთ! ისინი ხომ თვითმპყრობელობის და შავრაზმელთა გამარჯვებას უფრო ადვილათ მოინელებენ, ვინემ სოციალდემოკრატიისას! ამას ფედერალისტები, რასაკვირველია, პირდაპირ არ გეტყვიან, ეს მათ, რაც უნდა იყოს, ესირცხვებათ, ტაქტიც არ აძლევთ ამის ნებას; პირდაპირ ისინი მხოლოდ იმას გეტყვიან და ამბობენ კიდეც, რომ ეს ვითომ სოციალისტები სოციალდემოკრატიას უბრალო პროგრესისტს ამჯობინებენ, მაგრამ რაც სიტყვებით ადვილი დასამალია, ის ნება-უნებურათ თავს წამოყოფს ხოლმე მოქმედებაში. ფედერალისტთა გაზეთ „ისრის“ ფედერალისტი კორესპონდენტი, მაგალითათ, ვერ მალავს თავის სიხარულს იმის გამო, რომ ზუგდიდის მაზრაში სოც. დემოკრატები დამარცხდენ არჩევნებში, და დაუყონებლივ ატყობინებს გაზეთს **მხოლოდ** იმას, რომ მაზრაში „ვერც ერთი სოც.-დემოკრატი ვერ გავიდა“. მაშ ვინ გავიდა? ამაზე კრინტს არა ძრავს კორესპონდენტი! ან კი ეს რა საინტერესოა ფედერალისტების გაზეთისათვის? ოღონ სოციალდემოკრატები კი დაემხონ და მათ ადგილას თუნდ თვით ჯოჯოხეთის ტარტაროზი აღიმართოს!

ფედერალისტები „თავიანთი ქერქიდან ძვრებიან“ და თითოეულ ცნობას არჩევნების შესახებ უეჭველათ ისეთ „შუქს“ მოფენენ ხოლმე თავიანთი „კომენტარიით“, რომელსაც ერთათ-ერთი მიზანი აქვს: მოაჩვენოს ქვეყანას—სოციალდემოკრატიის საქმე ხელიდან წარსულიაო. ვთქვათ, სოც.-დემოკრატიამ გაიმარჯვა მემამულეთა კურიაში (როგორც ეს ოზურგეთის მაზრაში მოხდა),—„ისარი“ ასტეხს განგაშს—სოც.-დემ. მემამულეები ირჩევენ, დამიხედეთ სოციალისტურ პარტიასაო (გაზეთი იმაზე, რასაკვირველია, კრინტს არა ძრავს, რომ მემამულეები მხოლოდ მედგარი დემოკრატობისათვის აძლევენ ხმას სოც.-დემოკრატიას). ან კიდევ, ვთქვათ, რომელიმე ქალაქში (როგორც მაგ. ქუთაისში) სოც.-დემ.-მა ხმების დიდ-ძალი უმრავლესობა ვერ მიიღო,—„ისარი“, ცას ეწევა სიხარულით: სოც.-დემოკრატებს საცაა კადეტები გაუთანასწორდებიან თავიანთ გავლენითო. (ცრუ სოციალისტები სიხარულს ვეღარ მალავენ, როცა ხედავენ თავიანთ მონათესავე ბურჟუა-კადეტების გავლენის ზრდას სოციალისტების საზარალოთ). ვთქვათ, მეორე, უფრო თვალსაჩინო ქალაქში (როგორც, მაგ., თფილისში) ს.-დემოკრატიამ ხმების გასაოცარი უმრავლესობა მიიღო,—„ისარი“ ამ შემთხვევაში იხტიბარს არ იტეხს და რიხიანათ აცხადებს: თფილისში სოც.-დემ.-იას არც ერთი ძლიერი კონკურენტი არა ყოლია არჩევნებშიო. (გაზეთი იქნებ ფედერალისტების პარტიას რაცხს ასეთ ძლიერ კონკურენტათ, მაგრამ ამ პარტიის „სიძლიერე“, განსაკუთრებით თფილისში, წარსულ არჩევნებზე კი ყველამ თვალ და თვალ დაინახა!).

„ისარი“ **მწუხარებით სდუმს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა ხედავს, რომ ხალხის ფართო მასსა—მუშები და გლეხები ყველგან სოც. დემოკრატებს ირჩევენ**, და მით შეურყევლათ ამტკიცებენ, რომ **მთელ ჩვენს მდაბიო ხალხს** თავის ნამდვილ მოჭირნახულეთ ისევ და ისევ მხოლოდ ს.-დ. მიაჩნია. აი ყველაზე უფრო მწვავე ლახვარი, ფედერალისტთა გულის გამგმირი! მოდი და ნუ აუკანკალდებათ გული ამ ერთათ-ერთ „ჭეშმარიტ“ შვილებს თავიანთი სამშობლოისას. „მათი“ სამშობლოს მთავარი ბურჯი, ქართველი ხალხი, კვლავ თავის ბედს ანაბრებს სამშობლოს „მოღალატე“ სოც.-დემოკრატიას! მაგრამ აქაც ფედერალისტებს შეუძლიათ თავი იმით ინუგეშონ, რომ სოც.-დემ-ებს გლეხთა არჩევნებშიაც „ძლიერი კონკურენტი“ არა ყავდათ—მათ წინააღმდეგ ფედერალისტები არ გამოსულან. ამაზე ჩვენ მხოლოდ იმას მოვახსენებთ ბბ. ფედერალისტებს, რომ, „დამოუკიდებელ მიზეზების“ გამო, გლეხთა შორის საარჩევნო მუშაობა უმეტეს ნაწილათ ან სულ არა, ან ძალიან სუსტათ წარმოებდა სოც.-დემ-ების მხრივაც და ამის მიუხედავათ გლეხებმა **მაინც** თითქმის ყველგან სოც.-დ-ები აირჩიეს. ამას გარდა, განა წარსულ არჩევნებზე კი, რომლებშიაც ფედ-ები მონაწილეობას იღებდენ, განა მაშინ კი გლეხები კალთებს აგლეჯდენ ფედერალისტებს—თქვენს იქით გზა არ გვაქვს, თქვენ უნდა აგირჩიოთო?

ყველაფერი ეს კარგათ ახსოვთ, კარგათ მოეხსენებათ ბბ. ფედერალისტებს და მით უფრო არ გაემტყუნება მათ არჩევნების გამო ასეთი გულის-ტრიალი და ასე წელებზე ფეხის დგმით იმას მეცადინეობა, რომ რითაც კი შეიძლება და როგორც კი შეიძლება, სოც.-დემოკრატიას სახელი გაუტეხონ, დაამცირონ. ეცადეთ, ბატონებო, ეცადეთ, მხოლოდ ვაი თუ ეგეთი მეცადინეობით წინააღმდეგ მიზანს მიაღწიოთ!

### შანტაჟის შესახებ

შეჩერდა თუ არა ხალხის მასსიური მოძრაობა, გაჩაღდა თითო-ოროლა „გმირთა“ „საქმენი საარაკონი“. ამ საქმეთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს იმ უკუღმართ და საზიზღარ მოვლენას, რომელსაც **შანტაჟი** ეწოდება. თავის გარყვნილ ინსტინქტების ამყოლ საზოგადოებრივ ნაძირალთა ან არა და ცხოვრების კალაპოტიდან გადავარდნილ ზნეობრივ და გონებრივ უძლურთ, დღეს თავიანთ ხელოვნათ გაუხდიათ—მუქარისა და შეშინების შემწეობით ფულის გამოტყუება. და ამ სახიფათო გზაზე თავშეუკავებლათ მიექანებიან ეს ვაჟბატონები. ან კი რა შეაკავებს მათ? შეგნებას მაგრამ შეგნება ხომ მათ არ გააჩნიათ! პატიოსნების გრძნობა? მაგრამ ეს გრძნობაც ხომ უმეტეს მათგანს არ აბადია! ხალხის მრისხანება? მაგრამ მოძრაობის მოდუნებამ ხომ ხალხის თვითმოქმედებაც მოადუნა! რეპრესიები? მაგრამ რეპრესიები ხომ თვით არის მთავარი მიზეზთაგანი შანტაჟის გავრცელებისა! ამნაირათ დღეს თითქმის არაფერი ხელს არ უშლის, პირ იქით, თითქმის ყველაფერი ხელს უწყობს უკუღმა დატრიალებულ ცხოვრების უკუღმართ მოვლენათა განვითარებას. ვითარდება და უხვათ იფურჩქნება დღეს ეგრეთ წოდებული შანტაჟიც. მან უკვე დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ განვითარების გზაზე. წინათ შანტაჟი სულ უბრალო სახით ხდებოდა: ესა თუ ის ნაძირალი მუქარით ფულის გამოტყუებას ცდილობდა,—მიარჩა და გათავდა, შემდეგ შანტაჟმა ასეთი „განვითარებული“ სახე მიიღო: მუქარით ვითომ ფულის გამოტყუებას კი არ ცდილობენ, არამედ სხვა და სხვა პირთა შორის ურთიერთობის გაწესრიგებას. აი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ამ დღეებში ხელში ჩაგვივარდა. დაბა ახ. ს—ში მცხოვრებ ს. მხ—ძისას აჩრალებენ მ—შვილის ვალში ჩაგდებას, რომელსაც ვილაც ლ—უა, როგორც მევალე, მეტათ აწუხებს. ქ—ნს მხ—ძისას მისდის წერილი, რომელსაც სოც.-მაქსიმალისტების ბეჭედი აზის და რომლითაც ადრესატისაგან მ—შვილის დაკმაყოფილებას თხოულობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ ემუქრებიან. მუქარაში თავის-თავათ იგულისხმება „ბრაუნინგი“ და სხვა ასეთი „ბრძოლის“ იარაღები.

თუმცა ჩვენ კარგათ ვიცით შანტაჟის ეგოისტური ბუნება და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „პარტიის“ სახელით ნაძირალები ვითომ დაჩაგრულ კაცის შველაზე ზრუნავენ და ნამდვილათ კი მხოლოდ თავის სასარგებლოთ ფულის გამოტყუებას ცდილობენ, მაგრამ ჩვენ იმის საბუთიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბრძოლის შანტაჟისტური წესი შეეთვისებინოს ზოგიერთ „პარტიასაც“ კი. მკითხველს მოეხსენება, რომ არსებობს ისეთი პარტია, რომელიც დაშინებით, თითო-ოროლა გმირთა-მიერ ბრაუნინგების და ყუმბარების ამოქმედებით, შესაძლებლათ ცნობს არა თუ თითო-ოროლა მავნე პირთა ალაგმვას, არამედ მთელი სახელმწიფო წეს-წყობილების გადატრიალებასაც კი. მკითხველს მოეხსენება ისიც, რომ ამ პარტიის უკიდურესი მიმდინარეობა—ეგრეთ წოდებული მაქსიმალიზმი იმავე საშვალებათა შემწეობით (ტერორით) შესაძლებლათ ცნობს გადატრიალებას მთელ თანამედროვე სოციალურ წყობილებისაც კი.

ეს „უკიდურესი მემარცხენენი“ თავიანთი ასეთი „ტაქტიკის“ ბოლომდე გატარებით იმ წერტილამდე მიდიან, რომ ტერორის შემწეობით შესაძლებლათ ცნობენ ადამიანთა კერძო, მოქალაქობრივ და იურიდიულ ურთიერთობის „გაწესრიგებას“. ამ წერტილამდე მისული ტერორი კი აღარაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ შანტაჟისაგან, და ამნაირათ ჩვენ ვხდებით მოწმე იმ საზარელ მოვლენის, რომ „პარტიის“ კაცები, „შეგნებული“ ადამიანები თავიანთი მოქმედებით ხალხის ნაძირალებს უთანასწორდებიან და მათთან ერთათ ბნელეთის მოციქულნი, რეაქციის მსახურნი ხდებიან: მათთან ერთათ ხალხის ერთ ნაწილს აფრთხობენ და რეაქციის კალთებ ქვეშ ერეკებიან (იხ. „ჩვენი გზა“-ს № 22 „რუს. ამბ.“-ში „ბრძოლა აგარწისტების წინააღმდეგ“), მათთან ერთათ აქუცმაცებენ ხალხის მოძრაობას, აბნელებენ მის შეგნებას, აქვეითებენ მის სულიერ განწყობილებას და მით ძირს უთხრიან მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, რომლის მთავარ საფუძველს, მთავარ ძალას შეადგენს ხალხის ფართო მასსის შეგნებული, მწყობრი და ცხოველი თვითმოქ. ყველა ამ მოსაზრებათა გამო სოციალდემოკრატებს არა ერთხელ დაუგმიათ და კვლავაც მუდამ სამარცხვინო დღით დადაღავენ ყოველგვარ შანტაჟისტურ მოქმედებას, ვისგანაც და რა მიზნითაც უნდა ხდებოდეს იგი.

## ახალი ამბები

**არჩევნების შედეგი რუსთა კურიაში.** 30 სექტემბერს მოხდა არჩევნები თფილისის რუსთა კურიის ამომრჩევლებისა. სულ ხმა ქონდა 8,000 ამომრჩეველს, 2,000 მეტი საარჩევნო უწყება არ ჩაუბარებია პოლიციას, 2,500 უწყებები თუმცა მიუღიათ, მაგრამ არჩევნებზე არ გამოცხადებულან. დანარჩენები ასე განაწილებული: პატრიოტებს მიუღიათ 985 ხმა, კადეტებს—191, რუს ამომრჩეველთა წევრებს—545, ს.-დემოკრატებს—636 და

უცნობებს 221. ამნაირათ, აბსოლიუტური უმეტესობა არავის არ მიუღია, რისთვისაც აუცილებელი იქნება „პერებალოტიროვკა“, ხელმეორეთ არჩევნების მოხდენა. ამ დღეს დაპატიმრებულ იქნა 12-დის კაცი რომელთაგან მომეტებული იმ დღეს საღამოთი განთავისუფლეს. საარჩევნო შენობის გარშემო პოლიციელები უფრო ბევრი ირეოდენ ვინემ მოქალქე ამომრჩევლები, ერთს თუ დიდი მფარველობა ქონდა, მეორე საარჩევნო ყუთიდან იდევნებოდა.

◆ **გაფიცვა.** 28 სექტემბრიდან დღევანდლამდის გაფიცულები არიან 20 მუშა ვარშავის ტეხნიკური საზოგადოების განყოფილებისა თფილისში. 13 მუხლისაგან შემდგარი ეკონომიური მოთხოვნები აქვთ წარდგენილი. დღევანდლამდის განყოფილების გამგეს მიწათ-მზომ. როსმინს გარკვეული პასუხი არ მიუცია. ის ეუბნება მუშებს: მოიცადეთ, ვარშავიდან ველი პასუხს ამის შესახებ. ამ გაფიცვის გამო სათავად-აზნაურო გიმნაზიაში შეჩერებულია მუშაობა ორთქლით სახურებელ ქვაბების გაკეთებისა.

◆ **სტატისტ. კომ. წინადადება.** კავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა მიმართა თფილ. ქ. გამგეობას თხოვნით აცნობოს მას ადრესები ყველა ქალაქის დაწესებულებისა და მათში მოსამსახურე პირებისა, რათა ესენი მოთავსებულ იქნენ კავკასიის კალენდარში.

◆ **განთავისუფლება.** საგუბერნიო ციხიდან გაანთავისუფლეს ამას წინეთ დაპატიმრებული მოლლა ნასრადინის თანამშრომელი ომარ ფაიკ ნოიმან ზადე რომელიც დაპატიმრებულ იქნა პოლიტიკურათ არა საიმედო ბისათვის.

◆ ამ ოთხი დღის განმავლობაში ადმინისტრაციამ დააპატიმრა არჩევნების გამო: ნეჩაევი, კრონშტეინი, ეჩერია და არჩვაძე. გარდა საარჩევნო ბიულეტენების მათ სხვა არაფერი არ აღმოჩენიათ. დაპატიმრებულნი მეტეხის ციხეში სხედან.

◆ **ახალი პროფესიონალური კავშირი.** ავჭალაში წყლის საქაჩავ და საწმენდ ქარხანაში 40 კაცამდის თვიური მუშა იქნება დღიურებს გარდა, როგორც გადმოგვცეს მუშებს პროფესიონალური კავშირი დაუარსებიათ; კავშირში შედიან ყველა მუშები პარტიულ რწმენის და ეროვნების განურჩევლათ. თფილისის წყლის გამყვან მუშათა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელს წინადადება მიუცია ზემოხსენებულ მუშებისათვის, შეუერთდენ მათ კავშირს, რადგანაც პროფესიით ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან.

◆ **თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით:** სახლის პატრონი პრიუტის ქუჩაზე № 15 „ტატიევი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის საადრესო სტოლის შესახებ დაჯარიმებულ იქნა 15 მან.—ტყის ყარაული სანდრო მეზვრიშვილი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა ციხეში 1 თვით.—გორის მაზრის სოფ. ზერთის მცხოვრებთ ალექსა ახალკაცს და სანდრო ტერტერაშვილს, აეკრძალათ ცხოვრება თფილისის გუბერნიაში, სამხედრო წესების მოხსნამდე.—სოფ. მეხლების (გორის მაზრა) მოვაჭრეს მიხ. ხინჩილაშვილი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ, დაპატიმრებულ იქნა 1 თვის ვადით ციხეში ჯდომით.

◆ **ავათმყოფების საყურადღებოთ.** რადგანაც მიხაილოვის საავათმყოფოში დღეს ზოგიერთ განყოფილების შეკეთება ხდება, ამისათვის საავათმყოფოს გამგეობა აცხადებს, რომ გადამდები სენით შეპყრობილნი ავათმყოფები ჯერ-ჯერობით არ მიიღებიან.

**სტიპენდიების მიღება.** დიდი მთავ. მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე დაარსებულ სტიპენდიები მიიღეს 1-ლ ქალთა გიმნაზიაში: პეტროვამ, ხომასურიძემ, გაბრიჩიძემ, სიმონიანცმა და ტერგუკასოვამ; მეორე გიმნაზიაში: ოგანოვამა, ოსეფიანცმა, ოლეშკოვიჩმა, კუზმინსკაიამ და მაჭავარიანმა.

◆ **მასწავლებლათ დანიშვნა.** ხარფუხის სამოქალ. სკოლის მასწავლებლათ ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს სარა-ხანუმ ტალამხინოვა, რომელმაც გაათავა თფილისის მეორე გიმნაზია.

◆ **სწავლის დაწყება.** 2 ოქტომბრიდან სწავლა დაიწყოს სათავად-აზნაურო გიმნაზიის შემდეგ კლასებში 5, 6, 7 და 8-ში, 8 ოქტომბერს იწყება სწავლა დანარჩენ კლასებშიაც.

◆ 29 სექტ. შავნაბადის სომეხთა ეკლესიაში, ღამის თევის დროს, ორმა ახალგაზდა მლოცველებმა ძველებური ქართული ყანგიანი დანით დაკლეს თავიანთი მეგობარი, რომელიც იქვე მოკვდა. მიზეზი მოკვლისა შურისძიება ყოფილა.

◆ 29 სექტემბერს, პოლიციამ შეიპყრო ნიკოლოზ მამაცაშვილი, რომელიც ცდილობდა ყალბი პასპორტით თავი გაენთავისუფლებია სამხედრო ბეგრის მოხდისაგან.

◆ 29 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, უბნის ზედამხედველი სლეპუშკინი ორი გოროდოვოით კაგბეროვის ქუჩაზე შესულან კირაკოზოვის ღვინის სარდაფში, როდესაც დუქნიდან გამოსულან, უცნობ ბოროტ-გამზრახველებს აუტეხიათ სროლა, რომლის დროს სლეპუშკინი სასიკვდილოთ დაუჭრიათ, დაუჭრიათ აგრეთვე სარდაფის პატრონი კირაკოზოვი და მის ახლო მდგომი ჯარის კაცი მაქსიმ კალაშნიკოვი. დაჭრილები საავათმყოფოში წაუყვანიათ, სადაც სლეპუშკინი გარდაცვლილა. ამ დროს ჟანდარმის ქუჩაზე აუტეხიათ უცნობებს სროლა, მსროლელებს გამოჰკიდიათ მინგრელსკის პოლკის ჯარის კაცები და სროლითვე უპასუხიათ, თუმცა ვერავისათვისაც ვერ მოურტყავთ.

◆ 29 სექტემბერს, მეტეხის აღმართზე გამვლელს ვარვარა ჩიკვაიძისათვის, ვიღაცას ჯიბიდან ამოუცლია ბრილიანტის ჯვარი, ღირებული 200 მან.

◆ 1-ლ ოქტომბერს, რიყის ქუჩაზე, ალექსი სარიევის დუქნიდან გორის მაზრის მცხოვრები დავით ინრელაშვილს და ილია ჯაფარიძეს გაუტაცნიათ კასიდან 57 მ. დამცემლები შეუპყრიათ.

◆ 1-ლ ოქტომბერს, მადათოვის კუნძულზე შაქრო შალამოვის მაღაზიიდან გაუტაცნიათ 50 ცალი კატლეტის მაშინა ღირებული 130 მან. ამის გამო შეუპყრიათ გიორგი ჰასან-ჯალალოვი და მედუქნე გეორქ ხანდურავა, უკანასკნელს უპოვეს რამდენიმე ცალი მოპარული მაშინებისა.

◆ როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან შაბათს, 29 სექტემბერს მოუკლავთ ქუთაისის საპოლიციო უბნის მწერალი მუჩაიძე,

◆ როგორც განჯიდან იტყობინებიან იქ 29 სექტემბერს მოუკლავთ რკინის გზის მეოთხე განყოფილების უფროსი

## საარჩევნო კამპანია.

### ჩ ვ ე ნ შ ი.

**ბათუმი.** 29 სექტემბერს მოხდა არჩევნები ქ. ბათუმში. 2000 ზე მეტ ამომრჩეველთაგან გამოცხადდა მხოლოდ 450 ამომრჩეველი. არჩევნების შედეგი მეორე დღეს შევიტყვეთ. ს.-დემოკრატების კანდიდატებმა: ექიმმა შატილოვმა, კ. გოგოლაძემ და მუშ. კიკავამ მიიღეს—პირველმა—408 ხმა, კ. გოგოლაძემ და კიკავამ—405 ხმა თითომ. ამგვარათ, დიდი ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ სამივე ს.-დემოკრატები. სხვათა შორის, ამომრჩევლებათ დაესახელებიათ: ტერ-სტეფანოვი, ტერ-ტეროვი, ექიმი ელიავა, ქალაქის გამგეობის წევრი გ. ჟურული, ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი და ექიმი მხეიძე. ამათ მიიღეს თითო ხმა თითომ. რამდენიმე ბიულეტენი, კომისიის შემოწმებით, უვარგისი გამოდგა. სხვა პარტიებს, გარდა ს.-დემოკრატიისა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. არჩევნებს უფერულობა ეტყობოდა და ძალიან წყნარათაც ჩატარდა.

— ამ დღესვე მოხდა მხვილ-მემამულეთა არჩევნები. აარჩიეს ორი მემამულე: მემედ-ბეგ და ზია-ბეგ აბაშიძეები. ესენი ორივე პროგრესისტები არიან.

— 27 სექტემბერს მოხდა არჩევნები ქ. ბათუმის რუსთა კურიაში. 400 ამომრჩეველთაგან კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 121. არჩევნები ხდებოდა ქალაქის თვითმართველობის შენობაში. აარჩიეს ორი „ვიბორშჩიკი“ ტურკინი და რკინის გზის მოსამსახურე—დელოვი. ორივე მემარჯვენენი არიან.

29 სექტემბერს ამ არჩევნების შესახებ საჩივარი შეიტანეს საოლქო საარჩევნო კომისიაში. საჩივარს, სხვათა შორის, იმით ასაბუთებდენ, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს ბიულეტენი მიუღია არჩევნების დღეს საათით თუ ორი საათით ადრე არჩევნების დამთავრებამდე, ისე, რომ ბევრს მოფიქრებაც ვერ მოესწრო ვისთვის მიეცა თავისი ხმა, გარდა ამისა, არჩევნები დამთავრებულა ადრე, როცა კანონით ღამის ცხრა საათამდე უნდა გაგრძელებულიყო. საჩივრის საბუთები ამას გარდა სხვაც არის. როგორც ამბობენ, რუსთა კურიაში არჩევნები ხელ-ახლათ მოხდება.

**ფოთი.** 24 სექტემბერს **რუსთა კურიაში** მოხდა არჩევნები. კენჭს ყრით დასახელებული იყო ორი კანდიდატი: ადგილობრივი „ტემლაკოლხეთიდან“ ინჟ. პონომარიოვი და სოციალდემოკრატებისაგან ვასო გოლოვინი. არჩევნებზე გამოცხადდენ სულ 63 ამომრჩეველი 192 ამომრჩევლიდან. პონომარიოვმა მიიღო 31 თეთრი და 33 შავი, გოლოვინმა 31 შავი და 33 თეთრი. ამნაირათ, ფოთში რუსის კურიიდან „ვიბორშჩიკათ“ გავიდა სოციალდემოკრატი... ჩვენი ანგარიშით გოლოვინს მეტი ხმა უნდა მიეღო და თუ ვერ მიიღო, ამის მიზეზი იყო ამომრჩეველთა გამოუცდელობა კენჭის ყრაში, რაც შემდეგ გამოირკვა.

**სიღნაღის მაზრაში.** გლეხთა კურიიდან გავიდენ ორივე ვიბორშჩიკი სოც.-დემოკრატები. ქალაქის არჩევნებში გავიდა სოც.-დემოკრატების კანდიდატი ექიმი ბურჯანაძე.

**ფოთი.** 22 სექტემბერს თვითმართველობის დარბაზის გარშემო, ბულვარის ჩამოყოლებით დილის 9 საათიდან ხალხით უკვე მოფენილი იყო—რამდენიმე ადგილას ჯგუფ-ჯგუფათ იდგნენ და ბაასობდნენ. ამ დღეს არ დარჩენილა სახლში არც „ბუტია“ ბოიკოტისტები ესერები; ისინი მოუწოდებდნენ ამომრჩეველთ არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ არჩევნებში მონაწილეობის მომხრე ესდეკებს; ამიტომაც არ იღებდნენ მონაწილეობას ფედერალისტები: ისინი მორცხვათ ჩამოიჭრნენ [illegible] ამომრჩევლებით და ყუთისკენ გაეშურებოდნენ—შიგ უპრავის დარბაზში კი დიდი არევ-დარევა იყო. და იქ, სადაც ანდრია ყვანია (ვაჭრების წარმომადგენელი) და სხვა კანონიერი თუ უკანონო ფედერალისტები თავისუფლათ ნავარდობდნენ, სოციალდემოკრატებს უბრალო ცქერის უფლებასაც კი არ აძლევდნენ—„აქ ყოფნის უფლება არ გაქვთ, გადით აქედანაო“ და კანონის ძალით გარეთ ერეკებოდნენ. ორში ერთი: ან მოკავშირებივით მუშტი-კრივი და საქმეში პოლიციის ჩარევა, ან და გარეთ გაბრძანება—მეტი საშველი არ იყო. ჩვენც, „სკანდალს“ ეს უკანასკნელი გამოვარჩიეთ. უცებ ხმა გაისმა: ყუთთან იცნა მეუნარგია, როგორც თავმჯდომარე კონვერტებს გვართმევს და ხელით ატყობს ვის გაძლევთ ხმასო*) რადგანაც კანდიდატათ თვით მეუნარგია იყო დასახელებული, ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აშკარა იყო ზედგავლენის შიში, ამიტომ ვისაც კი მისი ეშინოდა, ხოლო ხმის მიცემა კი ესდეკებისათვის უნდოდათ, ხელმეორეთ ხსნიდნენ კონვერტს, საარჩევნო ბიულეტენს სხვა დიდ ქაღალდში ხვევდნენ და ისე ბეჭდავდნენ, რომ ხელში აღების დროს ცოტა მძიმე ყოფილიყო და განა მარტო ერთი და ორი ძალდატანება იყო? სად არის ჩვენში ჯერ მოქალაქობრიობა ისე განვითარებული, რომ სამსახურის უფროსის უნდობლობას არ ეშინოდეს: ვაი თუ ჩემი წყალობისთვის ჩამოჯინდეს და დუქანი ბერი დამაკარგვინოსო. თუ გარეთ მოკავშირეთა დამქაშები ზოგი ფაიტონით ზოგიც ფეხით დარბოდნენ და ჩუმათ, ქურდულათ ეჩურჩულებოდნენ ამომრჩევლებს: (მე მყავს სახეში გამოურკვეველები) თუ ნიკოლაძესა და მეუნარგიას არ მისცემთ ხმა, მაშინ დაიღუპება ფოთი, ნიკოლაძე წავა და ჩვენი ქალაქის საქმეებს ვინღა უშველისო, არც დარბაზი იყო ამ სენისაგან თავისუფალი. შიგ ბევრი იყო ზოგი „ობერ-კონდუქტორი“, რომელმაც რკინის გზის ბევრ მოსამსახურეებზე ზედგავლენა მოახდინა ჩვენ მოწინააღმდეგეთა სასარგებლოთ, ზოგიც მოიჯარადრენი, რომელთაც ბევრი ადგილობრივი მეხარ-კამეჩე-

*) სოციალდემოკრატების დაბეჭდილი ბარათები ვიწრო და გრძელი იყო, ხოლო მოკავშირეთა ბიულეტენები კი მეოთხედ თაბახზედ. ასე რომ კონვერტში მათი გარჩევა ადვილი იყო. ეს-დე.

---

## ჯ ა მ უ შ ი

### დრამა 4 მოქმედებათ.

(გაგრძელება, იხ. „ჩვენი გზა“ № 21).

**გიორგი.** მაშ თქვენი გამოკვლევით რამდენი ფუთი გამოვა?

**პავლე.** ჩემის გამოანგარიშებით ნახევარ მილიარდამდე უნდა გამოვიდეს. ახლა ღირსებას არ იკითხავთ? ფრეიბერგის, კუმბერლანდის, ურალის, ალტაის ბარიტი ამასთან შესადარებელი არ არის. ერთობ ბევრია შიგ გოგირდიანი, აზოტიანი, ქლორიანი და სხვა მარილები, რომლებიც საღებავებს იძლევიან. მილიონების დატრიალება შეიძლება, მილიონების!

**გიორგი.** ვთქვათ, ქარხანა გავაკეთე, თქვენ კარგათ იცით, ამას რა ფული დაჰირდება. ადგილი რომ სხვისია? მერე იმდენი პატრონი ჰყოლია, რომ იმდენ კაცთან საქმის დაჭერა მე პირადათ ხელს არ მომცემს.

**პავლე.** თქვენ ამაზე სრულებით არ შესწუხდებით, სრულებით. სახნავ-სათესათ ის ადგილები არ ვარგა, ისეა გაშვებული; პატრონებს ფიქრათაც არ მოსდით, თუ მათი ადგილები ამისანა სიმდიდრეს წარმოდგენს. თქვენ არაფერზე არ გაგრჯით, მე ავიღებ ოცდა ხუთი წლით იმ პირობით, რომ თუ ჩვენ მოვისურვებთ, კიდევ ოცდა ხუთი წლით უნდა მოგვცენ იმგვარისავე პირობით. და ახლა ეს გაიგონე! წელიწადში რომ რამდენიმე ათასი მანეთი მივცეთ, სულ ყრამალა შეტრიალდებიან, სიხარულით მოგვცემენ.

**გიორგი.** რკინის გზაზე შორს არის?

**პავლე.** რკინის გზა ზედ იმ ადგილებში გადის. სადგურამდე იქნება რვა-ათი ვერსი; გზები ყველგან საუცხოვო აქვს.

**გიორგი** (ცოტა ფიქრის შემდეგ). რომ ვიყიდოთ ის ადგილები, ძვირი დაგვიჯდება?

**პავლე** (კმაყოფილების ღიმილით). საუცხოვო აზრია, მშვენიერი აზრია! ოცი ან ოცდა ხუთი ათას მანეთათ სულ გამოვიტანთ იმ ადგილებს.

**გიორგი.** თუ ნახევარ ვალს ადგილებისა და ქარხნის შესაძენათ თქვენ გამოიღებთ, მაშინ მოგებაც სანახევროთ იყოს; თუ რომ ფული ჩემი იქნება, მაშინ ორი წილი მოგება მე, ერთი თქვენ, თანახმა ხართ?

**პავლე.** მე იმდენი ფული არ მაქვს, რომ ქარხნისათვის ნახევარი გამოვიღო, ამიტომ ისევ მეორე კომბინაციას ვჯერდები, თუმცა წაგებული ვიქნები, მაგრამ ნათქვამია, ვისაცა აქვს, მიეცეს და მიემატოსო.

**გიორგი.** მაშ მოიტათ ხელი. (პავლე ხელსართმევს. გიორგი ხელს არ უშვებს და ისე ელაპარაკება) ამ კვირაში ორივე წავიდეთ და ადგილები დავათვალიეროთ კარგათ. ხოლო ჯერ-ჯერობით ნურავის ნურაფერს ეტყვით. ჩუმათ გაკეთებული საქმე ყოველთვის უკეთესია.

**პავლე.** რასაკვირველია, რასაკვირველია, ადგილებს სულ შემოვარონიებთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, თუ რა სიმდიდრეა შიგ. (ხელსართმევს და გადის).

**გიორგი.** (გაივლ-გამოივლის, სარკეში ჩაიხედავს, ულვაშებს გაისწორებს, შემდეგ გამოტრიალდება და სავარძელში ჩაჯდება) ეჰ, ასე კარგია სწავლა! მე რომ სწავლა მქონდეს, ათი ამდენი შეძლება მექნება ახლა. (ულვაშებს იგრეხავს) აი თუნდა ეს ბარიტი, ერთი მესამედი მოგებისა მაგ არამზადას უნდა ერგოს. მერე რათა? რისთვის? იმისთვის, რომ მაგას მეტი სწავლა აქვს, საქმე იცის. მე რომ სწავლა მქონდეს, ხვალვე წავიდოდი, ადგილებს ვიყიდდი (ფიქრის შემდეგ), ერთი ქარხანა ავაგებინო, საქმე გაიჩაღოს და რა მესამედსაც მიიღებს, დაინახავს! მოსაგებ საქმეში მე ამხანაგები არ მიყვარს. მაგან ქაღალდზე იცის საქმე, მე კი ჩოთქზე, ისე ავურ-დავურევ შემოსავალ-გასავლის დავთარს, რომ ეშმაკმაც ვერა გაიგოს რა; თვითონ შემომეხვეწება, შენი ჭირიმე გამანთავისუფლეო. მე პირობაში შევიტან, რომ ზარალის ნახევარი მაგან უნდა ზღოს და ისე ჩავიჭერ ხელში, რომ, როცა მოვინდომებ, მაშინ ვკრამ ჰქიტლაყს. (ულვაშებს იგრეხს) ჯერ კი საქმე გავაკეთებინოთ. (ფიქრის შემდეგ) ვისაც აქვს მიეცეს და მიემატოსო! თვითონ ღმერთმა სთქვა ეს სიტყვები, ღმერთმა... და თუ ღვთის ნება და ხელი არ ერიოს ჩემს საქმეში, არარაობისაგან ორი მილიონი მოგროვდებოდა? გავსწიოთ წინ, ჯერ შეჩერება ადრეა. ათ მილიონზე რომ ავიყვან, მაშინ შევისვენებ, მხოლოდ მაშინ. მე მახსოვს, ვოცნებობდი: ორას ათასს რომ მოვუყრი თავს, კმაყოფილი ვიქნები-მეთქი. მაგრამ ორასი ათასი როცა ხელში მქონდა, ჩემი თავი ღარიბათ წარმომიდგა; ნახევარ მილიონს გადავაცილე, იმედი მომეცა, მილიონერი გავხდები მეთქი და აი, დღეს არა თუ მილიონერი, ორი მილიონის პატრონი ვარ და (ზეზე წადგება, კილოს აუწევს) თუ ვიცოცხლე იქითაც წავალ. გიორგი დიდებულიძე—მილიონების პატრონი! ხა, ხა, ხა, ხა, ხა! დრო რომ იყოს, მეფეს მისი ტახტიანა ვიყიდდი... მარა განა მე ახლაც მეფე არა ვარ? ჩემს წინაშე დრტვინავენ, ჩემი ეშინიათ, მელაქუცებიან, მეკრძალებიან, მეხათრებიან, მდაბლათ თავს მიკრავენ, მოწიწებით მეგებებიან, სხვა და სხვა ალაგას პაჩოტნი ჩლენათ და პაჩოტნი პოპეჩიტლათ მირჩევენ! (სარკესთან მივა და იხედება) გასწი წინ, არ შეჩერდე, ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ. ცხოვრება ბრძოლაა და იმაზე მეტი, იმაზე უმაღლესი სიამოვნება არ არსებობს, როცა ყველანი შენს წინაშე ქედს იხრიან, შენს კეთილ განწყობილებას ისე ელიან, როგორც უდაბნოში მყოფი ურიები ციურ მანანას. (პაუზა) საქმეები თანდათან იზრდებიან, შრომა თან და თან მატულობს და ყოველისფრის თავის გართმევა თითქმის შეუძლებელი ხდება. მე მჭირია ამხანაგი, მაგრამ აი იმისთანა კი არა (კარისკენ იშვერს უკან ხელს) არამედ ისეთი, რომელსაც ჩემი ესმოდეს, გული შესტკიოდეს. ჩამოვა თუ არა ჩემი ლევანი, ფაბრიკის საქმეებს უნდა გაეცნოს და მას მივანდო მათი წარმოება. მე კი მთელის ჩემის ძალღონით ამ ბარიტის საქმეებს შევუდგები. (ფიქრის შემდეგ) ცოტა ეს არ მეჭაშნიკა, რომ გაზეთებში ისეთ რამეზე დაუწყია წერა, რაც მისი საქმე არ არის. გაზეთში წერა ჩვენ დროში საჭირო, სასახელოც, მაგრამ არასოდეს არ უნდა გავიწყდებოდეს შენი მდგომარეობა. ის კი ისე სწერს, თითქოს მილიონერის კი არა, ვიღაც ღარიბის ან უბრალო კაცის შვილი იყოს. (პაუზა) მაგრამ გასწორდება! მშობლიურ ოჯახს მოწყვეტილ ახალგაზრდას ზოგჯერ განზე გაიტაცებს რამე, ეს არაფერია; საქმე ის არის, რომ მას ნიჭი აქვს, ნიჭი, და ამ ნიჭით კი დიდი საქმეების დატრიალება შეიძლება. თუ მე არარაობისაგან ერთმა უსწავლელმა კაცმა მილიონები შევქმენი, ნუ თუ მისი სწავლა, მისი ნიჭი და ეს მილიონები არ გადააქცევენ ჩვენს სახლს ერთ უშველებელ ფირმათ, რომელიც მთელ დედამიწაზე მოიდგამს ფეხს? (შემოდის ზაქარია და ცალ ხელში ტელეგრამა უკავია)

**ზაქარია.** გულმა მიგრძნო, რომ დღეს ლევანი უნდა მოვიდეს, ეს ნამდვილათ მისი ტელეგრამაა!.. (აწვდის გიორგის).

**გიორგი** (ხსნის და კითხულობს). მარსელიდან დღეს გამოვალ, ცხრამეტს მანდ ვიქნები, თუ ზღვა კარგი იქნა. ლევანი. (ზაქარიას) ცხრამეტამდის ორი კვირაა თითქმის, ასე რომ შენს ვარსკვლავებს შენთვის მართალი არ უთქვამს.

**ზაქარია.** ლევანს დიდი მომავალი აქვს. მე და ის დავწერთ ვრცელ გამოკვლევას ესტეტიურ აღზრდის შესახებ და მაშინ ყველას დაგიმტკიცებთ თუ რა დიდი გავლენა აქვს მთვარეს, ვარსკვლავებს, და ბუნების ყოველივე მშვენიერებას ადამიანის ზნეობრივსა და გონებრივ ფიზიოლოგიაზე.

**გიორგი.** ეეჰ! ჩემო ზაქარია! მთვარესა და ვარსკვლავების ცქერაში რომ ჰკუა ეყაროს, აქამდინ შენ დიდი ფილოსოფოსი იქნებოდი. ახა დღეს მთვარეზე ცქერა აღარა კმარა, შრომაა საჭირო, გარჯა, ფულის სიმდიდრის შეძენა.

**ზაქარია.** შენც ისე ცდები, როგორც მთელი ქვეყანა. შრომა ისეთი, როგორც შენ ამბობ, მუშების საქმეა; მაგგვარი შრომის გარდა არის შრომა მეცნიერული, ესტეტიური. მე დაგიმტკიცებთ, მთელ ქვეყანას დავუმტკიცებ, რომ კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ესტეტიურ შრომაში, ესტეტიურ აღზრდაში, ესტეტიურ განვითარებაში მდგომარეობს. მშვენიერება დიდი რამ არის, აი მაგალითათ ჩემთვის, მშვენიერების მზერა უმაღლესი ნეტარებაა, თვით სამოთხეა, უკვდავებაა.

**გიორგი.** ერიჰაა, მოჰყვა ისევ თავისებურათ, (ზარას რეკავს, შემოდის მოსამსახურე) მაკრინეს შეატყობიე, ლევანის ტელეგრამა მოვიდათქო (მოსამსახურე უხმოთ გადის).

**ზაქარია.** მე თვითონ შევატყობინებ (გადის).

**გიორგი.** ნათქვამია, ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩბიცო. დაუკავებია დულბინდი, მიჩერებია მთვარეს და ასე ჰგონია, საქვეყნო საქმეს ვაკეთებო. (დადის ზალაში დაფიქრებული შემოდის რამოდენიმე ხნის შემდეგ ზაქარია და მაკრინე).

**მაკრინე.** ჩემს ლევანს ვენაცვალე, რას იწერება?

**გიორგი.** მარსელში ჩამოსულა და იქიდან დღეს გამოვიდოდა ორ კვირამდი მაინც მოუნდება აქ ჩამოსვლას. (მაკრინე დაჯდება, ზაქარია სავარძელში ჩაწვება და სიგარას სწევს).

**მაკრინე.** ორი კვირა არაფერია; როგორი გამოცვლილი იქნება ახლა ჩემი ბიჭი! ორი წელიწადია აღარ მინახავს.

**ზაქარია.** მთელ მარადისობასთან ორი

ები უკვე ქირაზე აყვანილი, ხოლო მათი (მოიჯარადრეების) ინტერესები კი მჭიდროთ არის დაკავშირებული უპრავის სიამოვნებასთან. ამას მიუმატეთ ადგილობრივი უმუშევრები, რომელთაც აგერ ახლა (არჩევნების წინ) შეპპირდენ ელევატორზე ახალ სამუშაოს და რომელთაც ლიდიხანია აკავშირებდენ ჩვენს წინააღმდეგ. უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს ფედერალისტები გაცილებით უფრო „მარჯვეთ" მუშაობდენ მოკავშირეთათვის, ვიდრე შარშან თავისთვის.

შარშან მათ ქონდათ 240-მდე ხმა, ვაჭრებს 190-მდე, ჩვენ-კი 650-მდე, აქედან წელს საარჩევნო სიიდან გამორიცხეს მთელი ის სამასზე მეტი „როსიის", „რუსეთის" და „მარგანეცის" მუშები, რომელთაც შარშან, როგორც ბინის დამქირავებელთ, ქონდათ ხმა და, რასაკვირველია, ჩვენ მოგვცეს, ამას გარდა სენაკიდან შარშან მარტო ჩვენ მოგვივიდა 150 ხმაზე მეტი, წელს კი მხოლოდ 32 (სულ გამოცხადდა 33); მაშასადამე, ამ ხუთასამდე მუშის გამორიცხვა სულ ჩვენ დაგვაწვა თავზე. ამასთანავე ჩვენს შარშანდელ მოწინააღმდეგეთ არც სამი ივნისის კანონის, არც გუბერნატორის მოწყალობის ძალით ხმა არ დაკლებიათ, რასაკვირველია, შედარებით. მიუხედავათ ამ ყოველგვარ შევიწროებისა ჩვენ წელსაც გვქონდა 250 ხმის იმედი,—ასე რომ, თუ ფედერალისტები, ბოიკოტს კი არ გამოაცხადებდენ მარტო, არამედ გაატარებდენ კიდევაც ცხოვრებაში ან და შარშანდელსავით საკუთარ კანდიდატებს წამოაყენებდენ, მაშინ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნებოდა. წელს არჩევნებზე გამოცხადდენ სულ 670-მდე ამომრჩეველი. ძალთა დამოკიდებულება კი სულ სხვანაირათ განაწილდა. ფედერალისტებმა ჩემი წინასწარმეტყველება სავსებით გაამართლეს. თუ ერთ დროს მცხოვანი ბებელი ტარტაროზთან და მის ბებიასთან კავშირის სურვილსაც კი არ მოერიდა პროლეტარიატის ინტერესების დასაცველათ, ეხლა ჩვენმა ფედერალისტებმა გადასწყვიტეს ყოველგვარ „ეშმაკეულებთან კავშირი, მაგრამ პროლეტარიატის სასარგებლოთ კი არა, არამედ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ისინი არ დაერიდენ არც ბნელ ძალებთან ნათესაობას ოღონდ კი სოციალდემოკრატები გაეშავებინათ. მათ გამოჩენილი ბებელის ტაქტიკა უკუღმა შეატრიალეს. მათ გადასწყვიტეს „ვაჭრებთან" შეკავშირება და ბრწყინვალეთაც შეასრულეს ეს განზრახვა. შურისძიებამ ისინი დააკავშირა იმ ვაჭრებთან, რომელთაც შარშან მათ ყველა კანდიდატები გაუშვეს, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს, ისე ქალაქის გამგეობის არჩევნებშიაც. (მოიგონეთ თურქიასა და მეუნარგიას ისტორია). ფედერალისტებმა წელს გაათეთრეს ის კანდიდატები, რომელთაც შარშან ფარულათ თუ აშკარათ გაფთრებული ებრძოდენ, გაათეთრეს ის ნიკოლაძე, რომელთან ვითომდა პარტიული დაკავშირებას ჩვენ გვიკიჟინებდენ*) და რომელსაც შარშან მეტის-მეტათ ამაღლებდენ და სხვა და სხვა ბრალდებათა წამოყენებით მისი სახელის გატეხას ცდილობდენ. წელს გაათეთრეს ის მეუნარგია, რომლის წინააღმდეგ შარშან თავისი კანდიდატი წამოაყენეს (თურქია) და როცა ვერ გაიყვანეს, ბევრმა მათგანმა სულ მიატოვა ხმისნობა. მახსოვს შარშან მეორე დუმის არჩევნების შემდეგ ფედერალისტები ძალით იმხიარულებდენ თავს—„ჩვენ დიდათ გვაფთვილი ვართ დღევანდელი (შარშან) არჩევნებით—ამბობდენ ისინი—ჩვენი მიზანი ნიკოლაძის გაშავება იყო, რომელიც დღეს უკვე მიღწეულია, სოციალისტმა (სოციალდემოკრატიამ) გაიმარჯვა, რა გვაქვს საწყენიო"—ვეკითხები ფედერალისტებს—თუ შარშან ასეთი იყო ნიკოლაძე, წელს რა მიემატა მას? ზოგი მათგანი ამბობს: ისინი ავტონომიას დაიცავენ და ამიტომ ვიჭაობინეთ თქვენ თავსო. ბ-ნ ნიკოლაძეს კი არა ერთხელ გამოუთქვამს თქვენთან თავისი აზრი ავტონომიის შესახებ?! მე თვითონ დავსწრებივარ მის ლაპარაკს, ნიკოლაძე ამბობდა: დღეს რუსეთის ხალხს ერთი მძლავრი მტერი ჰყავს—ბიუროკრატია—და მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული მთელი იმპერიის ოპოზიციური და რევოლიუციონური ძალები განურჩევლათ ეროვნებისა. ავტონომიის ქადაგება კი ჩვენში ერთი მტრის ადგილზე რამდენიმეს დაბადებს. გაჩაღდება ეროვნული ბრძოლა და მთელი საქართველო ამას შეეწირება მსხვერპლათაო".

როგორ შეურიგოთ ეს აზრი ფედერალისტების მოსაზრებას? ზოგ ფედერალისტმა ისიც კი სთქვა 22 სექტემბერს: „დუმა არ გვარგა, მაჭანკალია და ამიტომ არ გვზავნით ჩვენ კაცს, დეე, წავიდეს ნიკოლაძე, ვნახოთ ერთი რა გზას დაადგებაო". ამნაირათ, აღსრულდა ჩვენი წინასწარმეტყველება (იხ. „ჩვენი გზის" № 14). ადგილობრივ „ვაჭრების" და „ფედერალთა" ბლოკმა 3 ივნისის კანონის და შეუწყნარებელი ხრიკების შემწეობით გაიყვანა თავისი კანდიდატები. ხმის უმეტესობით დამარცხდენ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ სწორეთ ამ დამარცხებაშია მათი ზნეობრივი გამარჯვება იმდენათ, რამდენათაც ამ არჩევნებმა ნათელ-ჰყო „ფედერალების" „სოციალისტობა" და „ფედერალისტობა"... ს.-ფედერალისტების პარტიული ფიზიონომია ერთბაშათ გაითქვიფა რეაქციონერთა წრეში... აქ აშკარათ გამოჩნდა მათი უპრინციპობა და სრული ტაქტიკური სიცოტრე... ეს დღესავით ნათელია... ამის უარ-ყოფა შეუძლებელია...

ეს—დე.

*) იხილეთ ამის შესახებ ფოთელი ბზიკის წერილები „საყვირის" №№ 1, 2.

ეს—დე.

### რუსეთში.

23 სექტემბერს პეტერბურგში მოხდა მუშათა რწმუნებულების საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ თითქმის მარტო სოც.-დ-ები სულ 46 კაცი. იმ 30 რწმუნებულთაგან, რომლებიც ქალაქზე მიწერილ ქარხნებ-ზავოდებში იქნენ არჩეული, 19 მენშევიკია და 11 ბოლშევიკი, ხოლო დანარჩენი 16 რწმუნებული ქალაქის მიდამოებიდან, სადაც ბოლშევიკებს მეტი გავლენა აქვთ, ყველანი ბოლშევიკები არიან,—ასე რომ, კრებაზე დაესწრო 27 ბოლშევიკი და 19 მენშევიკი. კრების უმრავლესობამ დაასახელა ვიბორშჩიკები 6 კაცი, ყველანი ბოლშევიკები, რომლებიც წინდაწინ ქალაქის ს.-დ. კონფერენციის მიერ იყვნენ დასახელებული. კითხვამ ნაკაზის შესახებ, რომელიც დუმის დეპუტატს უნდა მიეცეს, გამოიწვია ცხარე კამათი. წამოყენებული იყო ორი პროექტი: ბოლშევიკური და მენშევიკური. ნაკაზებისათვის კენჭი აღარ უყრიათ. პეტერბურგის კომიტეტს მიენდო მათი შესწორება და დარიგება რწმუნებულთათვის.

— როგორც იქნა, პეტერბურგის კრადონაჩალნიკმა ნება დართო საარჩევნო კრების გამართვაზე. დანიშნულ ადგილას დიდძალი ხალხი შეიკრიბა. კრებაზე რომ გარეშენი არ შეეშვათ, კრების დარბაზში შესავალთან პოლიცია დიდი გულმოდგინებით იწერდა მომსვლელთა ვინაობას. როცა კრება უნდა დაწყებულიყო, მოვიდა ბოქაული და განაცხადა: გრადონაჩალნიკის ბრძანებისამებრ კრება დახურულიაო. გაოცებული საზოგადოება იძულებული იყო „ბრძანება" აესრულებია და დაიშალა.

— მოსკოვში მოხდა ქალაქის მეორე კურიის ამომრჩეველთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ს.-დ. სკვორცოვი. მან გაართხილა ყველა ჩაწერილი ორატორები, რომ ადმინისტრაციის მიერ აკრძალულია ყოველგვარი მოწოდება—ნებადაურთველ პარტიების კანდიდატების არჩევის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია კრებას დახურავსო. შემდეგ სკვორცოვმა კრიტიკულათ განიხილა კადეტთა პარტიის დღევანდელი მოქმედება. მათი ახლანდელი საარჩევნო ტაქტიკა, თქვა მან, არაფრით არ განირჩევა მათი წინანდელი ტაქტიკისაგან. კადეტები წინანდებურათ ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეაშინონ ამომრჩევლები „შავი საფრთხით", რომ უკანასკნელებმა ხმა აღარ მისცენ მემარცხენე პარტიების კანდიდატებსაო. კადეტთა პარტია თანდათან მარჯვნივ იხრება და ნელ-ნელა კარგავს ყოველ ნიშანს დემოკრატიზმისას და კონსტიტუციონალისტობისას. ორატორმა მაგალითათ დაასახელა პ. სტრუვეს მოქმედება, მისი თანდათანი მიახლოვება ოქტომბრისტებთან, და აღნიშნა, რომ რახან კადეტთა პარტია ასეთ წევრებს ჰყობს, ჩანს ის ეთანხმება სტრუვეს მოქმედებას და შეხედულებასო: ვიდრე კადეტმა სუსტათ გასცა პასუხი სკვორცოვს, ის ამტკიცებდა—სტრუვეს მოქმედებისთვის მთელი პარტია პასუხს ვერ აგებსო. შემდეგმა ორატორებმა განაგრძეს იერიშის მიტანა კადეტებზე, კრება მათ ტაშის ცემით აჯილდოვებდა.

— მოსკოვის გუბერნიის ყველა მაზრების (გარდა მოსკოვის მაზრისა) ქალაქების პირველ კურიაში არჩეულ 15 ვიბორშჩიკიდან 6 მემარჯვენეა, 2 ოქტომბრისტი, 2 „მირნოობნოვლენცი" და 5 კადეტი.—ყველა მაზრების (გარდა მოსკოვის მაზრისა) მემამულეთა კურიაში: 22 მემარჯვენე, 9 ოქტომბრისტი და 5 კადეტი.—ქალაქების მეორე კურიაში: 2 კადეტი, 3 მემარჯვენე და 1 სოც. დემ.—მოსკოვის მაზრის მემამულეთა კურიაში არჩეულ იქნა 5 ვიბორშჩიკი—ყველა კადეტები.—მოსკოვის მაზრის ქალაქების პირველ კურიაში არჩეული ორივე ვიბორშჩიკი აგრეთვე კადეტები არიან.—ბოგოროდსკის ქალაქის მეორე კურიაში ვიბორშჩიკათ არჩეულ იქნა სოც.-დემ.

— ქ. ვილნოში მუშათა ვიბორშჩიკათ გავიდა სოც.-დემ.

— ბელგოროდის მაზრაში სხვილ მემამულეთა სიეზდზე ვიბორშჩიკებათ არჩეულ იქნენ სულ უკიდურესი მემარჯვენენი.

ქ. ეკატერინბურგის პირველ კურიაში გავიდა კადეტი. „მოკავშირეებმა" მიიღეს ოთხჯერ ნაკლები ხმები. მეორე კურიაში ხმები გაიყო კადეტებსა და სოც.-დემ.-ს შუა.

— ქ. კამიშლოვის პირველ კურიაში გავიდენ კადეტები, ხოლო მეორეში ს.-დ-ები.

— ხარკოვის პირველ კურიაში ვიბორშჩიკებათ არჩეულ იქნენ „მოკავშირენი". მეორე კურიაში ყველაზე ბევრი ხმა მიიღო კადეტების კანდიდატმა.

— ელეცის მაზრაში სხვილ მემამულეთა სიეზდზე ვიბორშჩიკებათ გავიდენ 1 ოქტომბრისტი და მემარჯვენეები. გაიმარჯვეს მშვიდობიან განახლების პარტიის ლიდერი უფროსი დეპუტატი მიხეილ სტახოვიჩი.

— ორიოლის მაზრის სხვილმა მემამულეებმა ვიბორშჩიკებათ გაიყვანეს უკიდურესი მემარჯვენენი.

— ქ. ვლადიმირში პირველ კურიაში ვიბორშჩიკებათ გავიდენ ოქტომბრისტები.

— ქ. ხარკოვში „მოკავშირეებმა" ქუჩებზე მოწოდება გააკრეს, რომელშიაც კადეტებს მეფის მკვლელებს უწოდებენ.

— ქ. ჩიტაში და ხაბაროვსკში ვიბორშჩიკებათ აირჩიეს სოც.-დემოკრატები.

— უფის მაზრაში გლეხებმა აირჩიეს ვიბორშჩიკებათ 4 რუსი და 3 თათარი, მათ შორის ორი კადეტია, 2 სოც.-დემოკრატი და 2 უპარტიო მემარცხენე.

— ქ. ორიოლის პირველ კურიაში გაიმარჯვეს „მოკავშირეთა" კანდიდატებმა.

— იაროსლავის გუბ. ქ. მოლოგაში ვიბორშჩიკათ გავიდა ცნობილი რევოლიუციონერი მოროზოვი, რომელიც შლისელბურგის ციხეში 20 წელზე მეტ ხანს იყო დაპატიმრებული.

— ქ. სარატოვის პირველ კურიაში ყველა ექვსი ვიბორშჩიკი კადეტია, რომლებმაც 40 პროცენტი ხმები მიიღეს, ვინემ ოქტომბრისტებმა. „მოკავშირეებმა" მიიღეს მხოლოდ 28 ხმა.

— სამარის მაზრის გლეხებმა ვიბორშჩიკებათ აირჩიეს 4 ს.-რ.

— საიარის გუბერნიის მუშებმა ვიბორშჩიკებათ აირჩიეს სოც.-დემ. 47 სამრეწველო დაწესებულებიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 18-მა.

— პოლტავის მაზრის გლეხთა რწმუნებულებმა ვიბორშჩიკათ აირჩიეს მემარჯვენე გლეხი.

— სიმფეროპოლის პირველ კურიაში ვიბორშჩიკებათ გავიდენ კადეტი და პროგრესისტი. რუსთა კურიაში გავიდა „მოკავშირე".

— ვლადიმირის გუბერნიის ექვს მაზრაში მოქალაქეთა პირველ კურიაში, გლეხებისა და მუშათა კურიებში არჩეულ იქნენ: 6 სოც.-დემ., 2 კადეტი, 1 ტრუდოვიკი, 2 უპარტიო პროგრესისტი, 5 ოქტომბრისტი და 5 მემარჯვენე.

— ქ. რიაზანის პირველ კურიაში ვიბორშჩიკებათ გავიდენ კადეტები. „მოკავშირეთა" და ოქტომბრისტების ბლოკი დამარცხდა.

### ხვრელი ქუთაისის ციხეში

—

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა მებაასენა ციხის მოსამსახურეებთან, რომლებიც

---

წელიწადი ერთი წამის მესიათასედი ნაწილია.

**მაკრინე.** მარადისობა წყალსაც წაუღია, მე ფილოსოფიისი არაფერი არ გამეგება. ჩემთვის ორი წელიწადი, ორი წელიწადია და სხვისთვის თუნდა მეათე კიტრი იყოს, ჩემი რა საქმეა? (შემოდის სპირიდონი, ჯერ მაკრინეს ჩამოართმევს ხელს მდაბლა, შემდეგ გიორგის მოწიწებით და მერე ზაქარიას).

**სპირიდონი.** როგორ გიკითხოთ, ქალბატონო მაკრინე?

**მაკრინე.** გმადლობთ, ჯერ მაგრათ ვართ.

**სპირიდონი.** (იცინის) ისე, რომ სიკვდილისა არ გეშინიათ!

**მაკრინე.** სიკვდილს თვალიც დაუდგება, ჩვენთან რა უნდა. მე ისეთ ხასიათზე ვარ რომ ასე მგონია ერთ ას წელიწადს კიდევ ვიცოცხლებ მეთქი.

**სპირიდონი.** (სიცილით) კიდევაც უნდა იცოცხლოთ. თქვენ თუ არ იცოცხლეთ, მაშ ვინ უნდა იცოცხლოს?

**გიორგი.** დაბრუნდით სპირიდონ! (სპირიდონი თავს უკრავს და დაჯდება).

**სპირიდონი.** (რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ) ბატონო გიორგი, როგორც თქვენ მიბრძანეთ მე თვალყურს ვადევნებდი მუშებს, ვცდილობდი კიდეც მათთვის შემეგნებია რამე, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდი. ვინც არა საიმედო მეგულებოდა, მოვახსენეთ კიდეც და ზოგზოგი დავითხოვეთ, მაინც არა გამოვიდა რა. დღეს შეიკრიბენ, რაღაც მოთხოვნილებებს წერდენ, მოვინდომე დაშლა, დამემუქრენ მოგკლავთო. რამოდენიმე კაცი ამოურჩევიათ და თქვენთან აპირობენ მოსვლას.

**გიორგი.** რა მოთხოვნილებებს წერდენ? ეს მე პირველათ მესმის. ჩვენს ფაბრიკაში ყოველთვის სამაგალითო სიწყნარე და წეს-რიგი იყო ხოლმე, მუშებს მუდამ შიში და მორიდება ჰქონდათ ჩემი. ახლა რა ღმერთი გაუწყრათ?

**სპირიდონი.** მოთხოვნილებანი მეტათ უზრდელი, თავხედურია, ხოლო ვეღარ დავიხსომე, რადგანაც ყოველივე ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. თქვენი მამობრივი ზრუნვა მათზე ისეთი უზომოა, რომ მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენი მუშებიც აბუნტდებოდენ.

**მაკრინე.** როგორ თუ იბუნტებდენ? მუშებს საბუნტებელი რა აქვთ? რატომ ჩვენც ისე არა ვცხოვრობთ, როგორც გიორგი დიდებულიძეო? აი მეხი კი დავაყარე იმათ ტუტუც თავზე! არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. თუ პატივისცემა ვერ შეიშვნიეს, ახლა თქვენც დაუმტკიცეთ, რავა უნდა ბუნტობა. მე რომ თქვენს ალაგას ვიყო, ყველა ბუნტოვჩიკებს გავყრი და დანარჩენებს ისე მოვუჭერ მუხრუჭს, რომ კრინტის დაძვრისა ეშინოდეთ. მოსამსახურეს ამბავი კი ვიცი, რაც უფრო კარგათ მოეპყრობი, იმდენი უფრო გათამამდება, გავირდება.

**ზაქარია.** მუხრუჭი, ხელის მოჭერა და სხვა და სხვა მოპყრობა პალიატიური ზომებია. აქ კი საჭიროა რადიკალური საშუალება. რატომ ბუნტობენ მუშები? იმიტომ რომ ისინი მოკლებულნი არიან ესტეტიურ აღზრდას; მშვენიერება მათთვის მიუწდომელია. მიეცით მათ ესტეტიური განვითარება და ისინი გაზედნიერდებიან, კმაყოფილნი იქნებიან, სრულებით დამშვიდდებიან და დაწყნარდებიან, აღარავითარ ბუნტს ალაგი აღარ ექნება მათ შორის.

**მაკრინე.** შე მამაცხონებულო! თუ ყველა გაანათლე, მაშინ მუშათ და მოსამსახურეთ ვინღა დაგვიდგება? (მოსამსახურე შემოდის „ჩაი მზათ გახლავსო" იტყვის და გადის, ყველანი ადგებიან).

**გიორგი.** ასეა თუ ისე, კაი ამბავი არ არის; მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ თავშივე ჩავახრჩოთ ყოველგვარი სუნი უკმაყოფილებისა. თავშივე მაგრათ და სასტიკათ უნდა დავხვდეთ, თორემ თუ ერთი დავუთმეთ, მერე სულ აბუჩათ აგვიგდებენ.

**ზაქარია.** ესტეტიკა, მხოლოდ ესტეტიკა ჩამოაგდებს კაცობრიობაში სიმშვიდეს და მოსპობს ყოველგვარ უკმაყოფილებას. სხვა ყოველგვარი ზომა ტყუილია (გადის).

**სპირიდონი** (შეაჩერებს გიორგის, სცენისაკენ წამოიყვანს და შემდეგ). შესაძლებელია ისინი ამაღამვე მოვიდენ აქ და რომ ვერაფერი გაბედონ, ჩემის აზრით, სჯობია, რომ რამდენიმე პოლიციელი კარებს უკან გააჩეროთ. მე უკვე დამზადებული მყავს ისინი.

**გიორგი.** რას გაბედავენ, მაგრამ მაინც შეიძლება სიფრთხილისთვის, თავშივე უნდა დავაფრთხოთ. (გადიან. რამოდენიმეხანს სცენა ცარიელია, შემდეგ შემოდიან ლასა, ანდრია და ილიკო; აქეთ-იქით დაიწყებენ ყურებას, ათვალიერებენ ოთახს).

**ლასა.** რაც გინდა ის თქვი და ბურჟუობა კარგი ყოფილა, ამისთანა სახლში ცხოვრებას არც მე დავიწუნებდი.

**ანდრია.** შენს ოთახთან აღარ მოგეწონა?

**ილიკო.** თუ ჩვენი არ არის, ჩვენის ოფლით ხომ არის შექმნილი!

**ლასა.** გვარიანი ნუგეშია! ჩვენის ოფლით რომ არის შექმნილი, ჩვენი უნდა იყოს, თორემ ნეტავი მე, მე თუ შრომაში სული ამომხდა და ამისმა ცოლ-შვილმა კი ფუფუნებაში იცხოვრა.

**ანდრია.** თუ ჩვენი არ არის, ჩვენი ხომ იქნება! რას გაჩერებულვართ? ერთხელ მაინც ჩავსხდეთ ჩვენი ოფლით შექმნილ სავარძელში (ილიკო სავარძელში ჯდება, ანდრია კაჩალკაში აპირობს ჩაჯდომას, მაგრამ ლასა მიასწრებს და დაჯდება).

**ლასა** (გადაქანდება) რა შენი საქმეა, შე პროლეტარო, კაჩალკაში ჩაჯდომა? (ქანაობს, ანდრია მუხლებზე დააჯდება) ადექი შე ოხერო, რა მძიმე ყოფილხარ! (ანდრია სიცილით ადგება და სავარძელში ჩაჯდება). იიფ! იქანავე ამისთანა სავარძელში, იცხოვრე ამისთანა სახლში, —ჩემმა მზემ კარგია, რა გიჟი იქნება ბურჟუაზია, რომ თავის ნებით ამისთანა კეთილდღეობაზე ხელი აიღოს.

**ანდრია.** ჩვენ მათ არაფერს არ ვართმევთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ისინი არაფერს გვართმევდენ და არა გვყვლეფავდენ!

**ლასა.** შე მამაცხონებულო, თუ არ გაგვყვლიფეს, ხომ ასეც ვერ იცხოვრებენ, მაშასადამე, როცა ეუბნები, ნუ გვყვლეფამო, ეს იმას ნიშნავს, ამისთანა ცხოვრებაზე ხელი აიღეო.

**ილიკო.** (აქეთ-იქით იხედება) რაც გინდა, ის თქვი, ცხოვრების გემო კი იციან ამ პირძაღლებმა.

**ლასა.** ცხოვრების გემო კი იციან, მაგრამ იმათ ცხოვრებაში ლაზათი არ არის; ეშხი, სილამაზე, სიკოხტავე აკლია,—არ ვიცი როგორ უნდა გამოვთქვა. მაგალითათ არისტოკრატის ოჯახი აიღე. იქ სიმდიდრესთან ერთათ სილამაზესაც ხედავ; ყოველისფერში: სახლის მორთულობაში, ტანისამოსში, ყველგან სილამაზეა; აქ კი მარტო სიმდიდრით გაკვირვებენ, სილამაზის კი არავითარი გემო არა აქვთ.

**ანდრია.** შენ ხომ არისტოკრატებში გაატარე შენი ცხოვრება და, რასაკვირველია, ყველაფერი გეცოდინება!

**ლასა.** მამაჩემი აზნაური მაინც იყო, შე ოხერო, და მამაშენი კი მუჟიკი.

**ანდრია.** აზნაური თუ იყო, რენტით ხან პარიჟში ცხოვრობდა და ხან ამერიკაში!

**ლასა.** ცხელ მჭადს რომ წითელ ნუნუას დააყოლებდა, შენი პარიჟი და ამერიკა ფეხებზე ეკიდა მაშინ.

**ილიკო.** როგორ დაუწყებენ ამ სავარძლებს ფენთხას, ჩვენ რომ აქედან წავალთ!

**ლასა.** სად ჯანდაბაშია ამდენხანს? იქნება არც კი შეუტყობინებიათ!

**ანდრია.** ახლავე ხომ არ გიახლებოდა? ჯერ ერთნახევარ საათს კიდევ გვაყურყუტებს ასე, მე აღა ვარ და თქვენ კი ჩემი მუშებიო.

**ლასა.** შერცხვენილი იყოს, ვინც უყურყუტოს (ზარას რეკავს რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოდის მოსამსახურე) ჩემო ძმაო, ხომ შეატყობიე: მუშები არიან და საჭირო საქმე აქვთქო?

**მოსამსახურე.** შევატყობიე, მაგრამ ჯერ ჩაის მიირთმევენ (მუშები ერთი მეორეს გადახედავენ. მოსამსახურე გასვლას აპირებს).

**ლასა.** უთხარი, რომ ეჩქარებათქო, ჩაის განა მერე ვერ დალევს? (მოსამსახურე გადის).

**ანდრია.** ჩვენი მოთხოვნილების მერე ჩაი კი არა ცივი წყალი უნდა დალიოს, რომ პატარა გული გაუგრილდეს.

**ილიკო.** (ალბომს იღებს და ხსნის) მოდი ერთი ეს სურათები მაინც დავათვალიეროთ (ლასა და ანდრია სავარძლებს მიაჩოჩებენ სტოლთან და ერთათ სინჯავენ სურათებს) რა მიზეზია, რომ ამ ბურჟუებს ყველას ამხელა ღიპი აქვს?

**ლასა.** კეთილმა ცხოვრებამ ასე იცის, ჩემო ძმაო!

**ილიკო.** სოციალიზმი ხომ საყოველთაო კეთილდღეობას დაამყარებს. მაშ ყველას ღიპები წამოეზრდება მაშინ (იცინიან).

**ანდრია.** აბა, ღიპები რომ არ წამოეზარდოთ, საყოველთაო და სავალდებულო შრომა იქნება.

**ილიკო.** (შლის ალბომს) ეს შვილია მისი, საზღვარგარეთ რომ არის.

**ლასა.** ეგეც მამასავით ოხერი იქნება.

**ილიკო.** არა, თურმე ძალიან კაი ბიჭია.

**ანდრია.** მოშორდი, მოშორდი; ეშმაკის შვილი ეშმაკი იქნება, ამასაც მტკიცება უნდა?

**ილიკო.** მე კი არაფერს ვამტკიცებ, რადგანაც პირადათ არც მინახავს და არც ვიცნობ, მაგრამ ვახტანგის ნაამხანაგარი ყოფილა და ვახტანგმა თითონ თქვა: ნამდვილი სოციალდემოკრატიაო. წერილები არ წაგიკითხავთ მისი

რამდენჯერმე შესულან თითონ ამ ხვრელში და ამიტომ შემიძლია დაწვრილებით ცნობები მოგაწოდოთ ამ შესანიშნავ და ქუთაისში ერთად-ერთ სალაპარაკო საგნათ გამხდარ ხვრელზე. დანამდვილებით ამტკიცებენ რომ ეს ხვრელი გაუყვანია ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაციას, რომელსაც თურმე დიდიხანი ქონია ეს განზრახვა, მაგრამ სახლი ვერ უშოვნია საქირაოთ ციხის მახლობლათ. ეს დაბრკოლება თავიდან აუცდენია მათთვის ქუთაისის პოლიცმეისტერს თავისი განკარგულებით. მას გაუსახლებია საკუთარი სახლებიდან ცოლ-ქმარნი ფანცხავები ვითომ და ტუსაღების ხელის მოწყობისათვის. პოლიცმეისტერი და ციხის ადმინისტრაცია იმ აზრის ყოფილან, რომ ციხეში თუ რამ ხდებოდა, ფანცხავას ცოლი მონაწილე იყო. სხვათა შორის მას დააბრალეს ზაქარია გურულის გაპარვაში მონაწილეობა. ფანცხავებს აგვისტოს შუა რიცხვებში სახლი დაუცლიათ და განცხადება მიუკრავთ ზედ „ქირავდებაო“. აგვისტოს დამლევ რიცხვებში მისულა ფანცხავასთან ერთი ახალგაზდა ქალი, ნატალია ივანეს ასული მიქაძე, სოფ. სამიქაოდან, როგორც მას თითონ უთქვამს, და სახლი უქირავებია. „მე და ჩემი რძალი ჩულქის მქსოველები ვართ და შეგირდებსაც ვიღებთო“. სახლი ერთი წლის ვადით უქირავებია 300 მანეთათ, ერთი თვის ქირა წინდაწინ მიუცია და თავის ძმით, ერმალოთი დასახლებულა სახლში, ერთი კვირის შემდეგ მისულა მისი რძალი თავის ახალგაზდა ძმით, მოუტანიათ მაშინა და დაუწყიათ ჩულქების ქსოვა; შეგირდების მიღებაზე კი პირველ ოქტომბრამდე უარი უთქვამთ. მათთან თურმე დაიარებოდენ ვიღაც ახალგაზდა კაცები. ყოფილა ყოველ დღე ქეიფობა, ღვინოების და პაპიროსების ზიდვა და სხვა. ეს გაგრძელებულა რამდენიმე კვირა და 26 სექტემბერს კი, როგორც ვიცით, იქ აღმოჩნდა ხვრელი, მეჩულქეები კი თავის ძმებით სადღაც გაქრენ და თან გაიყოლეს 32 პოლიტიკური და ადმინისტრატიული ტუსაღი, რომელთაგან, როგორც ამბობენ, ოთხს: ერთ მუშას, ერთ სალდათს და ორ სტუდენტს, სიკვდილით სასჯელი ელოდათ ყვირილის აჯანყებაში მონაწილეობისათვის და დანარჩენს ზოგს გადაწყვეტილი ქონია კატორღა და ზოგსაც მოელოდაო. ხვრელი სიგძით იქნება არა უმეტეს 12 საჟენისა. იწყება ფანცხავას „პადვალიდან“, რომელიც დაცილებულია ქუჩას რამდენიმე საჟენით, გაივლის 4—5 საჟენ ქუჩას, გაძვრება გალავან ქვეშ, გაივლის უსუფთაობის გამოსაზიდ გზას გალავანს და ციხეს შუა და ადის პირველ ოთახში („სეკრეტი“), რომელსაც სიგძე-სიგანე საჟენზე მეტი არ ქონია. სიღრმით საჟენ ნახევარია მიწაში და სისრულით ხვრელი იმ ზომისა ყოფილა რომ დაკუნტული კაცი, ოთხით, თამამათ გაივლის. გამაგრებული ყოფილა ფიცრებით და მომსხო რეიკის ბოძებით. მიწა და ქვა პადვალშივე დაუყრიათ. შიგ უნახავთ ხელსაწყოები: წერაქვები, ნიჩბები, ლომი, ორი ოქრომჭედლის საბერველი, ერთი იაშჩიკი, რომელსაც ორივე თავში ხვრელის სიგრძე ბაწარი ქონია მობმული და სხვა. აქედან შეგვიძლია გამოვიცნოთ, თუ რანაირათ უმუშავნიათ და რა დაბრკოლება შეხვედრიათ: ერთი წერაქვი, ერთ თავიანი, პტყელი პირით გაუქმებული, უტარო ყოფილა, რაც ნიშნავს რომ სილიანი მიწისთვის ქონიათ, მაგრამ რაკი ქვიანი ყოფილა, მოუტანიათ მეორე, რომელსაც წვრილი თავიც ქონია, მაგრამ შიგ იმხელა ქვები გამოსულა, რომ ერთ უღელ ხარს გაუჭირდება სათრევათო, როგორც ციხის მსახურმა სთქვა, ამიტომ, რაკი წერაქვი მას ვერას დააკლებდა, მოუტანიათ რკინის ლომი, იაშჩიკით მიწა და ქვა უთრევიათ და ოქრომჭედლის საბერველები, რომელზედაც პატარა რეზინის მილი ყოფილა გაკეთებული, უსათუოთ იხმარეს ჰაერის შესაყვანათ რაც უსათუოთ არ შევიდოდა რამდენიმე საჟენს იქით და რაც იმითაც მტკიცდება, რომ მსახურის სიტყვით ხვრელის კედლებზე გაყოლებული ყოფილა პატარ-პატარა ხის კალოები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზედ რეზინის მილი ყოფილა გადებული ხვრელის სიგძეზე. ქუჩაზედაც და უსუფთაობის საზიდ გზაზედაც დგას „ჩასავოი“ და ისედაც მიდი-მოდიოდნენ სალდათების და ციხის ზედამხედველობის, რომლების ქვეშაც გაუყვანიათ ხვრელი აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა სიფრთხილით უმოქმედნიათ მუშაკებს და ხელმძღვანელებს. გაზეთებში ეწერა და აქაც ლაპარაკობენ: ამის ხელმძღვანელი უსათუოთ „გლავნი“ ინჟინერი იქნებოდაო. ზოგიერთები ამბობენ პეტერბურგიდან ჩამოუყვანიათ ინჟინერიო. მე სრულიათ ვეთანხმები მათ, რომ საჭირო იქნებოდა ინჟინერი, მაგრამ პეტერბურგიდან ჩამოტანილი დიპლომი მარტო არ უშველიდა. რომ ეს ასეა, ე. ი. რომ დიპლომი არ კმარებულა, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ჩვენი მთავრობის ადგილობრივმა დიპლომიანებმა ეს სამუშაო სამი თვის ნამუშევრათ ჩასთვალეს მაშინ, როდესაც ჭიათურის, გინდ ტყიბულის მაღნის მუშა არც დაფიქრდება, ისე გეტყვის: „ხუთი მარჯვე ბიჭით ამას ერთ კვირაში არ დავსტოვებ გაუკეთებელს“-ო. გარდა ამისა კიდევ საჭირო იქნებოდა ხელმძღვანელთათვის შიგნით შესვლა, უამისოთ ვერას გახდებოდა ვერც წიფის ტუნელის გამყვანი ინჟინერი სიმბერგი. საჭირო იქნებოდა აღნიშნულ ოთახში შესვლა და იქიდან რაიმე წერტილის დანიშვნა, რომლითაც შემდეგში იხელმძღვანელებდა. თუ რანაირათ მოახერხა ხელმძღვანელ-ინჟინერმა შიგნით შესვლა, ეს ალლაჰმა უწყის.

სვანოსანი შტეიგერი

## პარტიების ცხოვრებიდან

23 სექტემბერს მოხდა პეტერბურგის სოც. დ. ორგანიზაციის ქალაქის საერთო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 58 წარმომადგენელი. კონფერენციამ გადაწყვიტა დასახელებულ იქნეს პეტერბურგის მუშათა კურიის ვიბორშჩიკათ 8 კაცი; აქედან კონფერენცია 4-ს თვითონ ამტკიცებს, დანარჩენ 4-ს კი მხოლოდ უსახელებს რწმუნებულთა საერთო კრებას, რომელიც მათგან 2 კაცს ირჩევს, რადგან სულ მუშათაგან ასარჩევია 6 ვიბორშჩიკი. ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის შესაიებ დადასტურებულ იქნა სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილება შეთანხმების შესახებ. არჩევნების პირველ საფეხურზე პარტია გამოდის სრულიად დამოუკიდებლათ. ხელმეორე კენჭის ყრის დროს შეიძლება მემარცხენეთა ბლოკი—ე. ი. შეთანხმება კადეტებზე მარცხნივ მდგომ პარტიებთან. ამნაირათ მემარცხენეთა ბლოკი პეტერბურგში პირველ არჩევნების დროს უარყოფილ იქნა. ქალაქის კანდიდატების დანიშვნა კონფერენციამ მიანდო კომიტეტს.

კონფერენციამ გადაწყვიტა — კითხვა დუმის სოც.-დემ. ფრაქციის გასამართლების შესახებ გადაეცეს განსახილველათ ყველა პარტიულ იაჩეიკებში და გადაწყვეტილ იქნეს თვით პროცესის დაწყების წინ კონფერენციის საგანგებო სხდომაზე.

უმუშევარ მუშათა შესახებ დადასტურებულ იქნა პეტ. კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ მხარი დაუჭირონ უმუშევართა კამპანიას ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ და მათ მოთხოვნას მიეცეთ—საზოგადო სამუშაოები. წინადადება იქნა შეტანილი, რომ გასწიონ აგიტაცია მათი მოთხოვნებისათვის ჩხარის დასაჭერათ და აგრეთვე აირჩიონ დელეგატები ფაბრიკა-ზავოდებიდან უმუშევართა დეპუტაციაში მონაწილეობის მისაღებათ.

## სასამართლოს ქრონიკა

6 ოქტომბერს თფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე ა. თუმანოვისა, ჟიდკოვისა, იონისიანისა, ა. კარანაშვილისა, ნ. ცურკოვისა, ნ. ვასილსკისა, ს. მურგინისა, კ. შაკულაშვილისა, გ. ფერაძისა, გ. ჯანუაშვილის, კახაძისა, და ჩხენკელისა. მათ ბრალს სდებენ მასში, რომ ესენი ეკუთვნოდენ თფილისის ს. დ. კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციას. მათ დაიცავენ ნაფიცი ვექილები: გრუზენბერგი, მისი თანაშემწე და კ. ჯაფარიძე. საქმის წარმოება იქნება დახურულ კარებში თუ ახლადათ, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

— თფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებით დაუწვავთ 1,200 ცალი ბროშიურა, გადმოთარგმნილი რუსულიდან სომხურ ენაზე „გოლდევისა“ „ანარქიზმა და სოციალიზმი.“, იმ წინასიტყვაობის გამო, რომელიც გადმომთარგმნელებს როზანს და ფილაგას (ფსევდონიმებია) დაუწერიათ.

— გუშინ 2 ოქტომბერს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა გლ. ინასარიძისა, მას ბრალდება 14 სექტემბერს საღამოს 5 ს. მადათოვის კუნძულზე ა. შაფრანოვის მაღაზიაზე თავდასხმა და ფულების გატაცება. ბრალდებულს იცავს ნაფ. ვექილი კ. ჯაფარიძე.

— ამას წინეთ თფილ. ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა აკრძალა 6000 ცალი ბროშიურ ნოვოტორჟსკისა, რომელიც გადათარგმნილი ყოფილა სომხურ ენაზე „ნაციონალური კითხვა, ავტონომია და ფედერაცია.“ ამის გამო სამოსამართლო პალატის პროკურორს ეს დადგენილება განუსაჩივრებია პალატაში, როგორც უკანონო საქციელი ბეჭდვითი საქმის კომიტეტისა. პალატას საქმის განხილვის შემდეგ უკანონოდ უცვნია კომიტეტის დადგენილება, რადგანაც ზემოხსენებული ბროშიურა თუ რომ რუსულ ენაზე ნებადართული იყო, ისე ნებადართული უნდა იყვეს ყველა სხვა ენებზედაც. ამის გამო 6000 ბროშიურა პალატას აკრძალვისაგან გაუნთავისუფლებია.

## რუსეთის ამბები

**დუმის სოც.-დემ. ფრაქციის საქმე.** უმაღლესი ბრძანებით მეორე დუმის სოც.-დემ. ფრაქციის 55 წევრის საქმე განსახილველათ გადაეცა უმართებულეს სენატის განსაკუთრებულ „პრისუტსტვიეს“, რომელიც შეუდგება საქმის გარჩევას 20 ოქტომბერს, ან არა უგვიანეს 25-ისა, ყოველ შემთხვევაში დუმის გახსნამდე.

**„აქტიურ მებრძოლთა“ საქმე.** ამ მოკლე ხანში დანიშნულია განსახილველათ „რევოლიუციასთან და ანარქიასთან აქტიურ ბრძოლის“ კავშირის საქმე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რამდენიმე „აქტიური მებრძოლი“ უჩივის თავის თავმჯდომარეს, რომ მან მთელი სამი თვის ჯამაგირი არ მისცა მათ. „მებრძოლნი“ ემუქრებიან თავიანთ ლიდერს სასამართლოში გამოამჟღავნონ, რომ, თუმცა ისინი 12—15 მანეთს იღებდენ თვეში, მაგრამ მას 25—30 მანეთის მიღების ბარათს აძლევდენ ხოლმე, რომელსაც ის ვიღაც გავლენიან პირს უდგენდა.

**„რუსკოე ზნამიას“ შეწყვეტა.** რადგან „რუსკოე ზნამიას“ ფული არ აქვს გრადონაჩალნიკის მიერ დადებულ ჯარიმის 1000 მანეთის გადასახდელათ, ამის გამო ეს „სახელოვანი“ გაზეთი იძულებული ხდება თურმე შეწყვიტოს თვისი არსებობა.

**სფერებში.** ამ ბოლო დროს ბეჯითი ხმებია, რომ მინისტრთა კაბინეტში ცვლილება მოხდება, რასაც უკავშირებენ დუმის მოწვევას. ბიუროკრატების აზრით, თუმცა მომავალი დუმაც ოპოზიციონური გამოდგება, მაგრამ მასთან მუშაობა შესაძლებელი იქნება მათთვის, თუ მცირეოდენ დათმობაზე წავლენ. კაბინეტის სათავეში ისევ სტოლიპინი დარჩება, რომლის მდგომარეობა ძალიან განმტკიცდა. იმ მინისტრებს შორის, რომლებიც სამსახურიდან გამოვლენ, ასახელებენ იუსტიციის მინისტრს შჩეგლოვიტოვს და სამხედროს—რედიგერს.

**მუშათა შორის.**

— ქ. კურსკის ნოქართა პროფესიონალურ კავშირში დატუსაღებულ იქნენ გამგეობის წევრნი.

— ქ. კაზანში გაჩხრიკეს მბეჭდავთა პროფ. კავშირის თავმჯდომარე. წაიღეს საქმის და ფულის წიგნები.

— ზიბერშტეინის ქარხნის (ლოძში) 127 მუშა, რომელთაგან 13 ქალია, ადმინისტრატიული წესით ციმბირში იგზავნება, რადგან მათ მექარხნის მოკვლას წინააღმდეგობა არ გაუწიეს.

— პეტერბურგის ერთ-ერთ დიდ პროფ. კავშირის გამგეობამ განიხილა სოც.-დემ. პარტიის პეტ. კომიტეტის წინადადება პარტიასა და კავშირებს შორის საურთიერთო წარმომადგენლობის დამყარების შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ შტუტგარტის კონგრესის რეზოლიუციის მთავარ საფუძველთა თანახმათ გამგეობა უეჭველათ სასურველათ ცნობს [illegible] ბა მჭიდრო დაახლოვებას კავშირებსა და სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის; გამგეობა სასარგებლოთ ცნობს გაიმართოს ხოლმე წინასწარი თათბირი კავშირების და ადგილობრივ სოც. ორგანიზაციების წარმომადგენლთაგან, როცა გარემოება შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს. მაგრამ გამგეობა კავშირის ინტერესებისათვის შეუფერებლათ რაცხს გამგეობაში და რაიონებში საურთიერთო წარმომადგენლობას, რადგან ეს უკანასკნელი, იმ იდეიურ და საორგანიზაციო შეხლა-შემოხლების მეოხებით, რომელიც არსებობს სხვა და სხვა პარტიებს შორის და აგრეთვე ერთი და იმავე პარტიის ფრაქციებს შორის, ხელს შეუწყობს ამ შეხლა-შემოხლების გადატანას კავშირებშიაც და გამოიწვევს ბოლოს და ბოლოს მიუცილებელ „რასკოლს“.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

28 სექტემბერი

**არჩევნები**

**პეტერბურგი.** საავენტოს ცნობებით 28 სექტ. მუშათაგან ამორჩეული 73 ვიბორშჩიკი. ამათგან 40 სოც.-დემოკრატი; 1 კადეტ. 5 ეს-ერი., 7 ნაროდოვეცი; 1 მემარჯვენე; 1 ზომიერი; 1 უკიდ. მემარცხნე; 12 მემარცხნე; 1 პროგ.; 1 უპარტიო; 1 გამოურკვეველი.

29 სექტემბრამდე 41 გუბერნიაში არჩეულ იქნა 2155 ვიბორშჩიკი. მსხვილ მემამულეთა სიეზდისაგან. ამათგან 22 რუსთა კავშირის წევრი; 44 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა; 309 ოქტომბრისტი; 6 მირნოობნოვლენცი. 66 კადეტი; 1 სოც.-დემოკრატი; 53 ბალტიის კონსტიტუც. მონარქისტი; 8 უგოდოვეცი; 3 რეალისტი; 139 ნაროდოვეცი; 26 ნაციონალისტ-ავტონომისტი; 2 პოლ. კოლო; 3 მემარცხნე პოლ. პარტიის წევრი; 7 უკიდურესი მემარცხნე; 320 მონარქისტი; 781 მემარჯვენე; 61 ზომიერი; 26 მემარცხნე; 30 პროგრესისტი; 182 უპარტიო; 63 გამოურკვეველი.

**პეტერბურგი.** უმაღლესის უკაზით, დეპუტატთა ასარჩევათ საგუბერნიო სიეზდი დაინიშნა. ყოველგან კავკასიაში და აგრეთვე თფილისში რუსთაგან დეპუტატის ასარჩევათ დაინიშნა 14 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის მაზრის მოქალაქეთა პირველ კურიის არჩევნებში აირჩიეს ოთხი „ვიბორშჩიკი“. ყველანი კადეტები.

ამავე მაზრის მუშათა რწმუნებულებმა აირჩიეს 6 „ვიბორშჩიკი“ ყველა ს.-დ—ები.

**ბაქო.** ნავთის მრეწველთა. სავათმყოფოდან უცნობებმა გაიტაცეს 8000 მანეთი.

**კიევი.** ვასილკოვში ჯარის სამზარეულოში მოკლეს ვახმისტრი კიევის პოლკისა.

**უმანი.** სოფ. ვერხოვკაში დაიწვა 70 მოსახლე; ზარალი დიდია.

**განჯა.** სადგურზედ მოკლეს რკინის გზის უბნის უფროსი ინჟინერი ფისენკო.

**პეტერბურგი.** გაძარცვეს ძვირფასი ნივთეულობის მაღაზია. წაიღეს 40 ათასი მანეთის საქონელი.

**გროდნო.** კლიუკოვიჩის მამულში ცეცხლი გაუჩინეს და დასწვეს მთელი წლის მოსავალი და მემამულის სახლ-კარი; ზარალი 40 ათას მანეთს აღემატება.

**კალუგა.** ღამით ციხიდან გაიქცა ხუთი ტუსაღი.

**უმანი.** სოფ. ბაბინში დაიწვა 60 დესეტინის ტყე.

**ტაშკენტი.** კანვოის ყაზარმაში ბოროტგამზრახველებმა სასიკვდილოთ დასჭრეს ერთი ფელდფებელი.

**უცხოეთი**

**ლეიპციგი.** ს.-დ. ლიბკნეხტს, რომელსაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ, გადაუწყვიტეს წელიწად ნახევრის ციხე.

**რომი.** მოსალოდნელია მუშათა გაფიცვა მოედვას ბოლონს, მოდენს და სხვა ჩრდილოეთის ქალაქებს.

**მილანი.** გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. შესწყდა მუშაობა დიდ საწარმოო დაწესებულებებში. ტრამვაი აღარ მუშაობს.

რედაქტორ-გამომცემელი
**იოსებ ზ. გიორგობიანი**

## განცხადებანი

**ჩოხატაურის მეტყლეთა ამხანაგობის** ქონების ლიკვიდაციისათვის არჩეული კომისია ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ლიკვიდაციის შემდეგ თვითეულ წევრს შეხვდა 3 მ. და 20 კ., რომელიც წევრთ შეუძლიათ მიიღონ „პაის“ წარმოდგენისათანავე კომისიისაგან. გარეშე მცხოვრებნი მიმართავენ კომისიას წერილით და აცნობებენ ადრესს, რომელითაც გაეგზავნებათ ფული ფოსტის ხარჯის გამორიცხვით.

კომისიის წევრნი: ალექსი სიხარულიძე, ლ. თავბერიძე, გ. ძნელაძე.

(2—ფ.—1)

---

განა? (შემოდის გიორგი. შორი-ახლოს გაჩერდება, მუშები ზეზე წამოდგებიან).

**გიორგი.** ჩემს სახლში მე ვარ ბატონი და არა თქვენ. ზარის რეკა რომ ასტეხეთ და მოსამსახურე მეორეთ გამოგიგზავნეთ, ცოტას ვერ მოითმენდით? ვისი მინისტრები თქვენ იყავით, რომ მაშინათვე უნდა გხლებოდით? გარდა ამისა მაგ სავარძელში (მიუთითებს) ჩაჯდომა რომ არ იყო თქვენი საქმე, იმდენი აღარ გესმისთ? ეს უზრდელობაა (დაჯდება).

**ლასა.** (ხმა აწეული) ჩვენ აქ იმისთვის არ მოსულვართ, რომ თქვენი ლექციები მოვისმინოთ ზრდილობის შესახებ. ჩვენ სულ სხვა საქმე გვაქვს თქვენთან.

**გიორგი.** (აღელვებული გააწყვეტინებს) თუ მაგ კილოზე ლაპარაკი არ შეგიწყვეტია, ახლავე ვუბრძანებ, რომ აქედან გაგრეკონ.

**ლასა.** ჩვენი აქედან გარეკვა იეფათ არ დაგიჯდებათ, ჩვენ დღეს კრება გვქონდა და შევიმუშავეთ ჩვენი მოთხოვნილებანი. მუშებმა ამოვირჩიეს ჩვენ სამი ამხანაგი, რომ ეს მოთხოვნილებანი გადმოგცეთ (უბიდან დაკეცილ ქაღალდს იღებს) და თქვენი პასუხი ამხანაგებს გადავცეთ. (მოთხოვნილებებს აძლევს გიორგის, რომელიც გაშლის ქაღალდს და კითხულობს).

**გიორგი.** ფაბრიკაში შემოღებული უნდა იყოს მხოლოდ რვა საათის სამუშაო დღე. (თვითონ შენიშნავს) მამა გიცხონდათ. მაშ ფაბრიკა თქვენთვის გამიღია, მე კი ვირების მუშა ვყოფილვარ. თორმეტ საათს მუშაობთ, მაინც არაფერს არ აკეთებთ და ახლა ის ლაგაკლიათ, რომ პენსია დაგინიშნოთ.

**ლასა.** (წინ წადგება და გააწყვეტინებს) თქვენი შენიშვნები ჩვენთვის სრულებით საჭირო არ არის. თქვენ წაიკითხეთ ბოლომდი და, მიიღებთ ჩვენ მოთხოვნილებას, თქვენი ნებაა, არ მიიღებთ, ისიც თქვენი ნებაა. სათხოვარი ჩვენ არაფერი არ გვაქვს.

**გიორგი.** მაშ, ბატონები თქვენა ყოფილხართ, მე კიდევ თქვენი მუშა; თქვენ ბრძანეთ რაც გინდათ, მე კი ჩემი აზრის თქმის ნებაც არა მქონია.

**ანდრია.** თქვენი აზრი მერე შეგვატყობიეთ, სულ რომ წაიკითხავთ.

**გიორგი.** (განაგრძობს) უნდა მოემატოს ყველას ჯამაგირის 30% (შენიშნავს მაღალის ხმით) თქვენზე ისიც არამია, რასაც იღებთ, და თუ გეცოტავებათ საცა მეტი მოგცენ, იქ მიბრძანდით! (ზეზე წამოდგება) ეს სადაური კანონია, არ მესმის, არ მოგწონთ? გეცოტავებათ? მიბრძანდით! ვინ გაკავებთ ერთი მითხარით, როდის შეგეხვეწეთ მოიცადეთო?! (განაგრძობს კითხვას) წელიწადში ყოველ მუშას უნდა მიეცეს ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის გამოურიცხავათ და წლის განმავლობაში საჭიროების დროს ორის კვირით (შენიშნავს) მაშ რამდენჯერაც თქვენ დაგჭირდებათ, იმდენჯერ ორის კვირით მე უნდა განთავისუფლოთ! (მაღალის ხმით) აბა, ჩვენი ღვდელი ასე არა სწირავს, (კითხულობს) მუშის მიღება თუ დათხოვა მხოლოდ მუშებისავე საქმეა. ე. ი. მუშების ნება დაურთველათ ქარხნის პატრონს უფლება არა აქვს მიიღოს ვინმე ან დაითხოვოს (ქაღალდს შუაზე გახევს და გადააგდებს) ქარხანა ჩემია და არა თქვენი, ქარხანა მე გავხსენი და მევე დავხურავ, ულუკმო პუროთ დაგყრით ყველას, წადით და უთხარით თქვენს ამხანაგებს, რომ ისინი გადარეულან და თქვენც სულ გამოტვინებულხართ, როცა ამისანა სულელური მოთხოვნილებით ჩემთან გაბედეთ მოსვლა. (კარებზე მიუთითებს) გასწით, გაეთრიეთ ახლავე, თუ არ გინდათ თავ-პირ დამტვრეული გახვიდეთ აქედან (ლასა სკამს წამოავლებს ხელს, მის მაგალითს მიჰყვებიან მისი ამხანაგები).

**სამივე ერთათ.** ერთი გაბედე! (გიორგი ერთ ნაბიჯს გადადგამს მათკენ, ლასა სკამს მაღლა იღებს, თითქოს უნდა, რომ თავში დაარტყასო, ამ დროს ოთახ-დან გამოვარდებიან სამი პოლიციელი და ერთი უბნის ზედამხედველი აშიშვლებული ხმლებით და მივარდებიან მუშებს. რომლებიც სკამებით იგერიებენ მათ და თანდათან კარებისკენ მიიწევიან.

ფარდა.

გაგრძელება იქნება.

**ივ. გომართელი.**